ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 24 აგვისტო, 2022 №166 (8944) ფასი: 80 თეთრი

სოსო გოგაშვილი: „თითოეული თქვენგანი უმკაცრესად აგებს პასუხს“

გვ.5

გვ.5

ირანის, ყირგიზეთისა და ისრაელის მოქალაქეებს თბილისისა და ბათუმის აეროპორტებში არადეკლარირებული თანხა აღმოუჩინეს

„ბიძინას ოთხეული ყოველგვარ ზღვარს გადადის!“

გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „ხალხს ქვეყნის აყირავება არ უნდა... როდის ყოფილა, რევოლუციას თვეების განმავლობაში აანონსებდნენ“



„რომელ მხარესაც დარჩება სააკაშვილი, იქ იქნება ნაცმოძრაობა“

კახა ოქრიაშვილი: „გავრილოვი რომ ჩამოიყვანა ივანიშვილმა და კობახიძის მეშვეობით პარლამენტში შეაბრძანა, შოკისმომგვრელი არ არის?!“

გვ.2

ალექსანდრე რაქვიაშვილი: „ახლა ბოიკოტზე საუბარს შინაარსი არ აქვს“

გვ.2

გვ.2

მარეგულირებელმა „მთავარი“ 118 ათას 688 ლარით დააჯარიმა

გვ.3

ბორჯომის ტყეში ღია კერები ისევ არსებობს

ლევან იოსელიანი: „არანაირი „ცხელი შემოდგომა“ არ იქნება“

გვ.3

ბენზინგასამართმა სადგურებმა ფასები უკვე 30-40 თეთრამდე შეამცირეს

გვ.4

გვ.4

ერთ თვეში კომერციული ბანკების წმინდა მოგება 138,3 მლნ ლარით გაიზარდა

4 თხილის ფასი კიდევ 27%-ით დაეცა

5 სასამართლომ ბადრაგი პატიმრობაში დატოვა

5 გორი-ტყვიავის გზაზე 22 წლის ახალგაზრდა ავარიაში დაიღუპა

6 ბორის ჯონსონი: „უკრაინას მხარს დავუჭერთ იქამდე, ვიდრე რუსეთი საზარელ ომს არ დაასრულებს“

1993230720223

„ბიძინას ოთხეული ყოველგვარ ზღვარს გადადის!“

თორნიკე შარაშენიძე: „ხალხს ქვეყნის აყირავება არ უნდა... როდის ყოფილა, რევოლუციას თვეების განმავლობაში აანონსებდნენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

„რომელ მხარესაც დარჩება სააკაშვილი, იქ იქნება ნაცმოძრაობა“

– ბატონო თორნიკე, ოპოზიცია ცხელ შემოდგომას გვიანონსებს – საბოტაჟი, რევოლუცია, დაუმორჩილებლობა. საზოგადოების ნაწილი თვლის, რომ ოპოზიცია მსგავსი განცხადებებით ხელისუფლებას აძლიერებს. „ოცნებასაც“ მიეცა ოპოზიციის ლანძღვის საშუალება. რის თავი აქვს ოპოზიციას და რას ელოდებით შემოდგომაზე?

– არაფერს არ ველოდები აბსოლუტურად. რამის გაკეთების პოლიტიკური გეგმა თუ ჰქონდათ, უნდა გაეკეთებინათ მაშინ, როცა იყო ძალიან დიდი მიტინგები. ვნახეთ, რომ არაფერიც არ მოხდა. შემოდგომაზე რას აპირებენ? რით უნდა ააგორონ ტალღა? რა მიზეზით? ეს მიზეზი ჯერჯერობით არ ჩანს. ზაფხულში იყო ეს მიზეზი, სტატუსის არმიღება და რა მოხდა მერე? არც არაფერი. საინტერესოა, ახლა რას აპირებენ.

– საზოგადოებაშიც არ არის დიდად განწყობა.

– ნამდვილად არ არის. ხომ ვხედავთ, ხალხში რა ხდება? დავდივარ ქუჩებში და მათ განწყობას ვგრძნობ. აბსოლუტურად არ უნდა ხალხს ქვეყნის აყირავება. მგონი, ხალხი შეშინებულია, ხედავს, რომ ხელისუფლების ცვლილებას ყოველთვის არ მოაქვს სიკეთე. ამიტომ დიდი ნაწილი ფრთხილად ეკიდება ყველანაირ გადატრიალებასა და ცვლილებას.

– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ არანაირი ცხელი შემოდგომა პოლიტიკურად არ გვექნება?

– შეიძლება, ტემპერატურა მაღალი იყოს, მაგრამ დანარჩენი, რა გითხრათ.

– რა მიზანს ემსახურება ასეთი განცხადებები? ვინც საბოტაჟს და გადატრიალებას გეგმავს, ამას ხომ არ დააანონსებს?

– რა თქმა უნდა! როდის ყოფილა, რევოლუციას თვეების განმავლობაში აანონსებდნენ.

– ანუ რა ხდება, ოპოზიციის ეს ნაწილი „ოცნების“ თამაშს თამაშობს?

– ნამდვილად ვერ გეტყვით, რას აკეთებენ. ეს ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. მგონი, უნდათ, რომ ამომრჩეველი ჰყავდეთ ფორმაში, თავიანთი მხარდამჭერები და ყოველდღე ეუბნებიან, დღეს არა, ხვალ რაღაც იქნებაო. ეს კონტრპროდუქტიული უფროა, რადგან იღლება მათი ამომრჩეველი. გამოიყვანს ქუჩაში, მერე ისევ გაუშვებს სახლში.

– ასეთი სუსტი ოპოზიცია ქვეყანას არასდროს არ ჰყოლიაო. რამდენად იზიარებთ ამ შეფასებას?

– სააკაშვილი ციხეშია და ეს უკვე ძალიან ბევრ რამეზე აისახება. რეალურად ისევ მას ჰქონდა რაღაცის რესურსი და თავი.

– დღეს კიდევ სააკაშვილი აცხადებს, რომ საერთოდ ეცლება პოლიტიკას.

– ამით ყველაფერი ნათქვამია. მიშა ცდილობს, თავი დაიძვრინოს ციხიდან და ეს აბსოლუტურად გამართლებულია მისი მხრიდან.

– ეს დააზიანებს ნაციონალურ მოძრაობას?

– რასაკვირველია, ასე იქნება. მით უმეტეს, ვხედავთ, რომ აღარ იმალება და უკვე ერთმანეთის ლანძღვა-გინება გარეთ გამოდის. ერთადერთი პიროვნება, ერთადერთი პარტია, რომელსაც შეეძლო ამ ხელისუფლების შეცვლა, ნაციონალური მოძრაობა იყო და ახლა ნაციონალური მოძრაობა დასუსტებულია.

– ფიქრობთ, რომ შესაძლოა დაიშალოს?

– დაიშალოს რა, რომელ მხარესაც დარჩება სააკაშვილი, იქ იქნება ნაცმოძრაობა.

– თუ სააკაშვილს დავუჯერებთ, გავდივარ ქართული პოლიტიკიდანო.

– რა გითხრათ, აბა. შეიძლება, გულწრფელად ფიქრობს, რომ გადის პოლიტიკიდან, მაგრამ ის ისეთი ადამიანია, რომ ვერ გაძლებს პოლიტიკის გარეშე. მართალსაც რომ ამბობდეს, მე არა მგონია, რომ პოლიტიკის გარეშე დიდხანს გაძლოს. ფაქტია, მას პოლიტიკის გარდა არაფერი არ იტაცებს. არიან ადამიანები, რომლებიც პოლიტიკის გარეშე ვერ ცხოვრობენ.

– ამ კატეგორიას მიეკუთვნება სააკაშვილი?

– კი, აშკარად. ის ხომ პოლიტიკური ცხოველია.

– ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესებზე რას იტყვით? ვისმენთ შეფასებებს, რომ აქტიურად უტევენ დასავლეთს. რა პროცესები მიმდინარეობს და რას იტყვით იმ ოთხეულზე, რომელიც განსაკუთრებულად გამოირჩევა აგრესიით დასავლეთთან მიმართებით?

– მე ვერ ამიხსნია ეს დამოკიდებულება. ივანიშვილის ეს ცნობილი წერილი როცა გამოქვეყნდა, ველოდებოდი, რომ დაიწყებოდა დასავლეთთან ურთიერთობის დათბობა, მაგრამ ეს არ ხდება. რაში სჭირდება ეს ივანიშვილს, ჩემთვის ბოლომდე აუხსნელია. ჯერ ვერ გავიგეთ, რა თამაშს თამაშობს ის ამ ეტაპზე.

– ვერ ხსნით, რა შეიძლება ჰქონდეს ჩაფიქრებული?

– ამ ეტაპზე გაუგებარია. ეს თუ თავის დაზღვევის მიზნით კეთდება, არ ვიცი. ჯერჯერობით ახსნა მიჭირს. ის ყოველთვის ცდილობდა დასავლეთთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას. ახლა ამ ოთხეულის განცხადებები ყოველგვარ ზღვარს გადადის. ახლა ცდილობენ, იმით იმართლონ თავი, რომ დამოუკიდებლები არიან. სინამდვილეში, ყველამ ვიცით, რომ ასე არ არის.

– ხომ შეიძლება, დასავლეთის მოთმინებაც ამოიწუროს და ერთ დღესაც ზურგი შეგვაქციოს? ამ საფრთხეს რამდენად ხედავთ?

– არა მგონია, ასე მოხდეს. დღეს დასავლეთს საქართველო ძალიან სჭირდება, რეგიონში ერთადერთი რეალური მოკავშირე საქართველოს სახით ჰყავს. კავკასიას შევხედოთ, რა ხდება.

– ამას ხვდება „ქართული ოცნებაც“ და ამიტომაა ასეთ მაღალ გონორზე?

– მგონი, ასეა.

– ბატონო თორნიკე, სერიოზული ხმაური მოჰყვა არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიან არჩევნებთან“ დაკავშირებულ ამბებს. მთლიანად არასამთავრობო სექტორი ამბობს, რომ წყვეტს თანამშრომლობას ხელისუფლებასთან. ეს არ დააზიანებს პროცესს, როდესაც 12-პუნქტიანი გეგმა შესასრულებელია?

– „ოცნებაც“ ადგება და მარტივად გაიშვერს ხელს არასამთავრობოებისკენ, რომ მათი მხრიდან აქვს ადგილი საბოტაჟს. „ოცნებას“ „სამართლიან არჩევნებთან“ დაკავშირებით რაღაც არგუმენტი მართლა უჭირავს ხელში. შესაბამისად, უფრო ფრთხილად უნდა იმოქმედონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ასე ბოიკოტის რეჟიმში გადასვლა არ იქნება სწორი. გასაგებია, რომ მათ არ უნდა მიატოვონ და იზოლაციაში არ უნდა მოახვედრონ „სამართლიანი არჩევნები“, მაგრამ, ხელისუფლებას რომ შეჰყვნენ ამ თამაშში, მათთვის წამგებიანი იქნება. რის იმედი აქვთ, რომ გადიან და მარტო ტოვებენ „ოცნებას“? რევოლუციის იმედი აქვთ ისევ? ხომ ვხედავთ, რომ არ ხდება რევოლუცია. ეს ქვეყანასაც აზიანებს საბოლოო ჯამში. ფაქტია, რომ „ოცნება“ მარტო რჩება და თავის ჭკუაზე აკეთებს ყველაფერს. უფრო მოქნილი პოლიტიკაა გასატარებელი როგორც ოპოზიციის, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. ასე პირდაპირ ბოიკოტში შესვლა არ არის სწორი. მარტო ტოვებ ხელისუფლებას და ის ყოველთვის შენკენ გამოიშვერს ხელს.

– ხელისუფლების შიგნით თუ ელოდებით ცვლილებებს? დადგა დრო, ივანიშვილმა გადაახალისოს „ოცნებაო“. ჩაანაცვლებს ღარიბაშვილს?

– არა მგონია, ამ ეტაპზე ღარიბაშვილი გაუშვას. პირიქით, ღარიბაშვილი ამ სიტუაციაში სჭირდება სწორედ, როცა სერიოზული შიდაპოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობს.

ალექსანდრე რაქვიაშვილი: „ახლა ბოიკოტზე საუბარს შინაარსი არ აქვს“

„გირჩის“ წევრ ალექსანდრე რაქვიაშვილის განცხადებით, არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში ბოიკოტზე საუბარს შინაარსი არ აქვს და, თუ საპარლამენტო ოპოზიცია ადეკვატურად მოიქცევა, ევროინტეგრაციის პროცესში შესაძლო ჩავარდნაზე მთელი პასუხისმგებლობა მმართველ გუნდს დაეკისრება.

მისივე თქმით, სიტუაციის პირიქით წარმოჩენით, რომ პასუხისმგებლობა ოპოზიციას დაეკისროს, პოლიტიკური პროცესი ჩიხში შევა.

„სიტყვა „ბოიკოტში“ ძალიან დიდი ინვესტიციაა ჩადებული და ჩემს კოლეგებს არ უნდათ ამ სიტყვის დავიწყება, პერიოდულად იხსენებენ. არადა, არანაირი შინაარსი არ გააჩნია ამ კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებაში რაღაც ბოიკოტზე საუბარს, მით უმეტეს, რომ თუ საპარლამენტო ოპოზიცია ადეკვატურად მოიქცევა, მთელი პასუხისმგებლობა ევროინტეგრაციის პროცესში ჩავარდნაზე მმართველ გუნდს დაეკისრება. ამ ვითარებაში სიტუაციის ისე წარმოჩენა, რომ, პირიქით, პასუხისმგებლობა ოპოზიციას დაეკისროს და ჩვენ ვიყოთ ის ხალხი, ვინც ევროპელების რეკომენდაციების წინააღმდეგ წავალთ და უარესსაც ჩავიდენთ – ჩიხში შევიყვანთ პოლიტიკურ პროცესს. მგონი, ეს ყველა გაგებით არასწორი იქნება და, თუ ეს ვინმეს დაეხმარება, საბოლოო ჯამში, „ქართულ ოცნებას“.

არა მგონია, რომ ბოიკოტზე საუბარი ადეკვატური იყოს ამ სიტუაციაში და ერთადერთზე შეიძლება მიუთითებდეს ეს, რომ ოპოზიციის ნაწილს არ აქვს გეგმა, თუ რა გააკეთოს. ამომრჩეველი რომ სთხოვს გეგმებს, ვერაფერს პასუხობენ და ძველ იდეებს იმეორებენ. რაც შეეხება ზოგადად ოპოზიციის პოტენციალს, მგონია, რომ დიდი პოტენციალი გვაქვს და პირიქით, ჩვენ რომ ადეკვატური ვყოფილიყავით, „ქართულ ოცნებას“ დიდი ხნის წინ დავამარცხებდით. პრობლემა ისაა, რომ ვხარჯავთ ჩვენს რესურსს, უმეტესწილად ვსაუბრობთ ნაციონალურ მოძრაობაზე და მათზე, ვისაც რესურსი აქვთ, რომ ტელევიზია ჰქონდეთ ან ფინანსური და ადამიანური რესურსი. ვხარჯავთ ამ რესურსს უიდეოდ პროტესტზე, სადაც, ამომრჩეველს რომ ჰკითხოთ, რისთვის იკრიბება, უმეტესწილად გასაგები არ იქნება. თუ საბოლოოდ ჩვენ ვიპოვით იდეებს, რომლის ირგვლივ გავაერთიანებთ სხვადასხვა ადამიანს და ეს იქნება იმის საწინააღმდეგო, რასაც „ქართული ოცნება“ აკეთებს, დიდი პოტენციალი გვაქვს. უბრალოდ, ცოტა დრო იხარჯება იდეებზე საუბარში, – განაცხადა ალექსანდრე რაქვიაშვილმა.

კახა ოქრიაშვილი: „გავრილოვი რომ ჩამოიყვანა ივანიშვილმა და კობახიძის მეშვეობით პარლამენტში შეაბრძანა, შოკისმომგვრელი არ არის?!“

„არ გსურთ ახლა გასცეთ პასუხი გოგაშვილის ბრალდებებს?! – მალე პროკურატურასთან რიგში იდგებით ამ საკითხებზე ახსნა-განმარტებების მისაცემად“, – ასე მიმართავს პარტია „პროგრესისა და თავისუფლების“ ლიდერი კახა ოქრიაშვილი „ქართულ ოცნებას“.

ოქრიაშვილი პარტიის ლიდერის სკანდალურ განცხადებებსაც აფასებს და ინტერესდება: „გავრილოვი რომ ჩამოიყვანა ივანიშვილმა და კობახიძის მეშვეობით პარლამენტში შეაბრძანა, შოკისმომგვრელი არ არის?!“

– ბატონმა ივანიშვილმა გამოაგორა კობახიძე და განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის შეფასება „ISFED“-თან დაკავშირებით შოკისმომგვრელია.

გავრილოვი რომ ჩამოიყვანა ბატონმა ივანიშვილმა და კობახიძის მეშვეობით პარლამენტში შეაბრძანა, შოკისმომგვრელი არ არის?! ოკუპანტ რუსეთს, ჩვენს მტერს, „ოცნების“ მთელი შემადგენლობა ყველგან რომ უძვრება, შოკისმომგვრელი არ არის?! მაგრამ პარტნიორი ამერიკის შეერთებული შტატების გულისტკივილი, რომ საქართველოს უკუსვლა დემოკრატიის თვალსაზრისით აქვს, შოკისმომგვრელია?!

მოღალატეებს საკადრისი პასუხი გაეცემათ. ჩვენ ვერ დავემსგავსებით მოძალადე ხელისუფლებას და ძალადობრივი, სისხლიანი მეთოდებით არ ვეცდებით მათ დამხობას. ჩვენ, ქართველი ხალხი, გავისტუმრებთ მათ არჩევნებით და თუ ისინი, 2020 და 2021 წლებში ჩატარებული არჩევნების მსგავსად ეცდებიან, ან გააყალბებენ ამომრჩევლის ნებას, წავლენ ქართველი ხალხის დიდი, მშვიდობიანი პროტესტის ფონზე!

აქვე, ვეხმაურები გოგაშვილის საკითხს – მასზე, როგორც ერთ პიროვნებაზე, ხორციელდება ორკესტრირებული შეტევა, შინაარსით – რა ცუდია სოსო გოგაშვილი! არავის აინტერესებს, როგორია სოსო გოგაშვილი. საზოგადოებას, ქვეყნის შიგნით და ჩვენს პარტნიორებს, ქვეყნის გარეთ, აინტერესებთ პასუხი გოგაშვილის ბრალდებებზე. კეთილი ინებეთ, გამოგორდით და პასუხი გაეცით გოგაშვილის ბრალდებებს, ის თქვენი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი იყო! არ გსურთ ახლა გასცეთ პასუხი?! – მალე პროკურატურასთან რიგში იდგებით ამ საკითხებზე ახსნა-განმარტებების მისაცემად, – წერს ოქრიაშვილი.

მარეგულირებელმა „მთავარი“ 118 ათას 688 ლარით დააჯარიმა

მორიგი ფინანსური სანქცია კრიტიკულ მედიას – ბექაურის მარეგულირებელმა კომისიამ „ქართული ოცნების“ საჩივარი განიხილა, დაკმაყოფილა და „მთავარი არხი“ 118 ათას 688 ლარით დააჯარიმა, ხოლო „ფორმულა“ და „ტვ პირველი“ წერილობით გააფრთხილა.

ამჯერად სანქციის მიზეზი „შინ ევროპისკენ“ ვიდეორგოლი გახდა, რომელიც 24 ივნისის აქციისთვის მომზადდა. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ კლიპი პოლიტიკური რეკლამაა, რომელიც ეთერში არასაარჩევნო პერიოდში გავიდა. გარდა ამისა, „ოცნება“ თვლის, რომ მასში გამოყენებული ხელისუფლების პირველი პირების ანტიევროპული კომენტარები დამახინჯებულია.

კომისიამ განმარტა, რომ „ფორმულასა“ და „ტვ პირველისთვის“ ეს პირველი დარღვევაა, ხოლო „მთავარი არხისთვის“ წელს – მეხუთე.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ომის ფონზე „ყირიმის პლატფორმის“ მეორე სამიტი გაიმართა

ყირიმელი თათრების ლიდერი მუსტაფა ჯემლიევი: „ყირიმელ თათრებს რუსეთის შემადგენლობაში მომავალი არ გვიწერია“

მარიამ მჭედლიშვილი

23 აგვისტოს, ომის მიუხედავად, დისტანციურად გაიმართა საერთაშორისო ფორუმის „ყირიმის პლატფორმის“ მეორე სამიტი.

პირველი შეკრება ერთი წლის წინ ჩატარდა. მასში მონაწილეობდა 46 ქვეყანა. აქედან 14 სახელმწიფო ლიდერების დონეზე იყო წარმოდგენილი. შარშანდელ სამიტში მონაწილეობდა საქართველოს პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი.

წლევანდელი შეკრების დღის წესრიგი მიმდინარე ომმა განაპირობა. მისი მთავარი გზავნილი გახდა ის, რომ უკრაინა ყირიმს დაიბრუნებს. კიევმა მსოფლიოს შეახსენა, რომ რუსეთის აგრესია ყირიმის ოკუპაციით დაიწყო.

ბოლო დროს ყირიმი ყურადღების ცენტრში მოექცა იქ მომხდარი აფეთქებების გამო, რომელსაც ოკუპანტი რუსეთის რესურსების განადგურება მოჰყვა. ყირიმიდან გაიქცნენ რუსი დამსვენებლები.

ყირიმში არსებულ სიტუაციაზე, ყირიმის ადგილობრივი მოსახლეობის – ყირიმელი თათრების მდგომარეობაზე საუბრობს ყირიმელი თათრების ლიდერი (არაფორმალური), ყოფილი დისიდენტი მუსტაფა ჯემლიევი, რომლის ინტერვიუც ბელარუსის ოპოზიციურმა მედიამ გამოაქვეყნა.

– იზიარებთ თუ არა აზრს, რომ ქერჩის ხიდი უნდა დაინგრეს?

– ეს ხიდი უკანონოა. ის ააგეს უკრაინის მიწასა და აკვატორიაში უკრაინის თანხმობის გარეშე. ამ ხიდის გავლით შემოდის შეიარაღების ნაკადი, რომლითაც აყენებენ დარტყმებს ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, ხოცავენ მოსახლეობას. ამასთან, ყირიმში არიან რუსები, რომლებიც აქ გადმოიყვანეს ოკუპაციის შემდეგ. ეს მილიონზე მეტი ადამიანია. ჩნდება კითხვა: როგორ უნდა დატოვონ მათ ყირიმი ხიდის გარეშე? ამიტომ, მგონია, რომ გადაწყვეტილების მიმღებები გაითვალისწინებენ ყველა გარემოებას.

– ყირიმელი თათრები საუკუნეების განმავლობაში განიცდიან რეპრესიებს. მათ ავიწროებდნენ ცარიზმის, სოციალიზმის, ფაშიზმის წარმომადგენლები. ამას რით ხსნით?

– რუსეთმა ყირიმის ადრინდელი ოკუპაციის პირველივე დღეებში, 1783 წელს დაიწყო ზომების მიღება ადგილობრივი მოსახლეობის განდევნისთვის. გრაფი პოტიომკინი ეკატერინეს სწერდა, რომ აქ ბარაქიანი მიწაა, რომ აქედან ურჯულოები უნდა განდევნონ და რუსები დაასახლონ. ხალხის დევნის მიზეზი მხოლოდ ბარაქიანი მიწა არ ყოფილა. რუსეთს ყოველთვის ამოძრავებდა ბოსფორისა და დარდანელის, სტამბოლისა და ა.შ. დაპყრობის გეგმები. ამის გამო რუსეთისთვის სასურველი იყო ფრონტისპირა ზონიდან მუსლიმანური, თურქული წარმოშობის მოსახლეობის განდევნა. ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროების ერთ-ერთი მეთოდი იყო მიწის წართმევა, მასობრივი რეპრესიები. ემიგრაციის დიდი ტალღა მოჰყვა 1853-1855 წლების ომს. შემდგომი ექსპანსიონისტური პოლიტიკა გახდა ჩვენი ხალხის დეპორტაციისა და გენოციდის მიზეზი. ეს მოხდა 1944 წელსაც. საბჭოთა რეჟიმის გარდა, ყირიმელი თათრების დეპორტაციას ნაცისტებიც აპირებდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს. ყირიმში ფაშისტებს უნდა ჩამოესახლებინათ გერმანელები იტალიასთან სადავო სამხრეთ ტიროლიდან. მათ ყირიმისთვის გოტლანდი უნდა დაერქმიათ.

– როგორ გგონიათ, შენარჩუნდება რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობა?

– რუსეთის იმპერია შეიქმნა სხვა ხალხების მიწების სისხლიანი მიტაცების შედეგად. ასეთია რუსეთი დღევანდელ საზღვრებშიც. დაპყრობილი ხალხები ცდილობენ ოკუპანტებისგან თავის დაღწევას. მათი ბუნებრივი სურვილის ასრულება შესაძლებელია.

– როგორ წარმოგიდგენიათ ყირიმელი თათრების მომავალი?

– ყირიმელ თათრებს რუსეთის შემადგენლობაში მომავალი არ გვიწერია. უკრაინაში მიღებულია კანონი, რომლითაც ყირიმელ თათრებს, ასევე ყარაიმებსა და ყრიმჩაღებს გვაღიარებენ ძირძველ მოსახლეობად. ამის საფუძველზე უკრაინის კონსტიტუციაში შევა ცვლილება და ჩამოყალიბდება ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია. ადრინდელი ამორფული (რუსული) ავტონომიის მაგივრად ყირიმში შეიქმნება ყირიმელი თათრების ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია. უკრაინის შემადგენლობაში გვექნება განვითარების გარანტიები.

„რუსების ამოცანაა უკრაინის სამხრეთის დაპყრობა და დნესტრისპირეთთან მიერთება. ამის გაკეთება უკვე უჭირთ“

მარიამ მჭედლიშვილი

ანალიტიკოსების აზრით, ომში გარდატეხა მოხდა და რუსეთს თავისი ზრახვები კიდევ ერთხელ ჩაუფლავდა. როგორია პროფესიონალების შეფასება?

შავ ზღვაზე არსებულ მდგომარეობასა და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის უფროსის ყოფილი მოადგილე ანდრეი რიჟენკო.

– ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვა აცხადებს, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ეფექტურობა შეზღუდულია. რა პრობლემები აქვთ? როგორ შეგვიძლია უკრაინაში ამით სარგებლობა?

– რუსებს პრობლემები მართლაც შეექმნათ. ეს ურთულებთ ადრე დასახული ამოცანების შესრულებას. ბრიტანეთის დაზვერვის ნაშრომში ნათქვამია, რომ ჩვენ გემების საწინააღმდეგო ახალი სისტემების მიღების შემდეგ შევძელით რუსების განდევნა. ისინი იმყოფებიან ყირიმის მიმდებარედ, სანაპიროსთან, საჰაერო თავდაცვის სისტემების დაცვის ქვეშ. მათ მაინც აქვთ საშუალება, გამოიყენონ დიდი სიშორის რაკეტები და მიაყენონ დარტყმები უკრაინას. იქ (ბრიტანეთის დაზვერვის მონაცემებში) ასევე ნათქვამია, რომ რუსებს გართულებული აქვთ დესანტის გადმოსხმა ჩვენს სანაპიროზე უკრაინის სამხრეთში. ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ის კონტროლზე ავიყვანეთ. ამ ინფორმაციაში მოცემულია ბოლო ერთი თვის განმავლობაში შავ ზღვაზე შექმნილი ვითარების კონსტატაცია. ათვლა დაიწყო 13 აპრილს, როცა განადგურდა კრეისერი „მოსკოვი“. მეორე ეპიზოდი იყო მაშველი ბუქსირის „ვასილი ბეხის“ განადგურება, მესამე – გაზის პლატფორმა. რუსებმა შეიგნეს, რომ იქ საშიშია და უკან დაიხიეს.

– რომელი შეიარაღება აქვთ ოკუპანტებს შავ ზღვაზე?

– მათ დარჩათ 9 გემი „კალიბრებით“. არ ვიცით, რა რაოდენობის „კალიბრები“ აქვთ რეზერვში. თითოეულ გემზე შესაძლებელია იყოს 8 რაკეტა. მათ ასევე ჰყავთ წყალქვეშა ნავები. თითოეულ მათგანზე 4 „კალიბრი“ მაინც იქნება. ოკუპანტების ხელთაა 9 გემი გემების საწინააღმდეგო სხვა რაკეტებით. ეს საბჭოთა დროინდელი რაკეტებია. მათ შეუძლიათ სროლა 150-200 კილომეტრის დისტანციაზე. რუსებს ბაზებზე სადესანტო გემებიც ჰყავთ. დესანტის გადმოსხმას ჯერ არ გეგმავენ. ვიცით, რომ რუსები ნადირობენ ჩვენს სარაკეტო

სისტემებზე, დიდი ხანია, ცდილობენ იერიშის მიტანას სამხრეთში. მათი ამოცანაა უკრაინის სამხრეთის დაპყრობა და დნესტრისპირეთთან მიერთება. სხვა საქმეა, რომ ამის გაკეთება მათთვის გაცილებით რთულია. ამის შესახებ დაწერეს ბრიტანელებმა თავიანთ ანგარიშში.

– იმუშავებს თუ არა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის წინააღმდეგ დიდი სიშორის რაკეტები?

– ისინი იმუშავებს სანაპიროს უძრავი ობიექტების წინააღმდეგ. არსებობს რაკეტა, რომელიც გამოიყენება მოძრავი ობიექტების წინააღმდეგ. არ ვიცი, აქვს თუ არა ასეთი ულტრათანამედროვე რაკეტები უკრაინას. საერთოდ, დასავლეთის იარაღი ძალიან ტექნოლოგიურია მაშინაც კი, თუ ის 40 წლისაა. საბჭოთა იარაღი შეიძლება ეფექტური იყოს მაშინ, თუ ის საკმაოდ დიდი რაოდენობითაა. დღეს ასე მოქმედებენ რუსები აღმოსავლეთით, კონცენტრირებული აქვთ საარტილერიო სისტემები და გაუთავებლად ისვრიან ჩვენი ჯარის მიმართულებით. სამწუხაროდ, იქ ფიზიკურად არ გვყოფნის საშუალებები. ამავდროულად, ახალი ტექნოლოგიური საშუალებები გვეხმარება, აღმოვაჩინოთ ტექნიკის თავმოყრა, როცა ის განთავსებულია აეროდრომზე ან სარკინიგზო კვანძზე და მივაყენოთ მას ზუსტი დარტყმები.

– არსებული ინფორმაციით, ყირიმში აფეთქებები მტრის სამხედრო ბაზებზე სიგარეტის მოწევის ბრალია. დავუშვათ, რომ ეს დარტყმები ჩვენებმა განახორციელეს. რით უნდა მომხდარიყო ეს?

– არ გეტყვით. თამბაქო უნდა მოსწიონ იქ, სადაც დაშვებულია. მეტს არაფერს გეტყვით.

შოლცი: „გავაგრძელებთ უპრეცედენტო სანქციებს პარტნიორებთან ერთად“

„ჩვენ გავაგრძელებთ უპრეცედენტო სანქციებს პარტნიორებთან ერთად“, – ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა ყირიმის სამიტზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– უკრაინის პარტნიორები დღეს იმაზე უფრო ერთიანნი არიან, ვიდრე ოდესმე. გერმანია მტკიცედ დგას უკრაინის გვერდით და ეს იმდენ ხანს გაგრძელდება, რამდენიც უკრაინისთვის იქნება საჭირო. ჩვენ გავაგრძელებთ უპრეცედენტო სანქციებს პარტნიორებთან ერთად, ჩვენ დავეხმარებით უკრაინას ფინანსურად, ჩვენ გავაგრძელებთ იარაღის მოწოდებას.

ჩვენ შევიმუშავეთ დახმარების ახალი პაკეტი, რომელიც შეიცავს თანამედროვე საჰაერო თავდაცვის სისტემებსა და ტონობით ამუნიციას. ჩვენი საავადმყოფოები კვლავაც გააგრძელებენ დაჭრილი უკრაინელების მკურნალობას და ჩვენი ქვეყნის კარი ღია იქნება ყველასთვის, ვინც რუსეთის ტერორს გამოექცევა, – ამბობს ოლაფ შოლცი. ცნობილია, რომ სამიტი ონლაინფორმატში ტარდება და მიზნად ისახავს ყირიმის მიმდინარე ოკუპაციაზე საერთაშორისო რეაგირების ეფექტიანობის გაუმჯობესებას, უსაფრთხოების მზარდ საფრთხეებზე რეაგირებას, კრემლზე საერთაშორისო ზეწოლის გაზრდას, ყირიმის დეოკუპაციისა და მისი უკრაინისთვის დაბრუნებას. საქართველოს პრეზიდენტი სიტყვით მიმართავს სამიტის მონაწილეებს, მსოფლიო ლიდერებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

ბორჯომის ტყეში ღია კერები ისევ არსებობს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელ თემურ მღებრიშვილის განცხადებით, ბორჯომის ხეობაში ხანძრის გავრცელების ზოგიერთ სექტორში სალიკვიდაციო სამუშაოები უკვე დასრულებულია და პოზიციის შენარჩუნება მიმდინარეობს.

მისივე თქმით, ბორჯომის ტყეში ამჟამად სამი ღია კერაა, სადაც მეხანძრე-მაშველები მუშაობენ.

– ხანძრის სალოკალიზაციო-სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის ტერიტორია პირობითად სამ სექტორად გვაქვს დაყოფილი. ზოგიერთ სექტორში სალიკვიდაციო სამუშაოები უკვე დასრულებულია და პოზიციის შენარჩუნება მიმდინარეობს, თუმცა გვაქვს ცხელი წერტილები.

ამჟამად სამი ღია კერა გვაქვს, სადაც მეხანძრე-მაშველები აქტიურად მუშაობენ. არის კონკრეტული ძველი კერები, რომლებზეც ლიკვიდაცია მოხდა და ამ ყველაფერს ვინარჩუნებთ. მაღალი ტემპერატურისა და ქარის გამო ახალი ცხელი კერებიც გვაქვს.

სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართულია ათასზე მეტი ადამიანი. ეს არის როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე, თავდაცვის სამინისტროს დანაყოფები და ასე ერთობლივად ვუმკლავდებით, – განაცხადა თემურ მღებრიშვილმა.

ლევან იოსელიანი: „არანაირი „ცხელი შემოდგომა“ არ იქნება“

„არანაირი „ცხელი შემოდგომა“ არ იქნება – არაფერი მოხდება, უბრალოდ, ყველა (პატარა პარტია) ცდილობს, თავისი წილი აიღოს იმ კონფიგურაციიდან, რომელიც შეიძლება ვნახოთ, თუ ნაციონალური მოძრაობა აღარ იქნება ამ სახით წარმოდგენილი პოლიტიკურ სცენაზე, – ამის შესახებ პარლამენტის ვიცესპიკერმა ლევან იოსელიანმა ოპოზიციის მიერ დაანონსებულ აქციებთან დაკავშირებით ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც იოსელიანმა განაცხადა, პატარა პარტიები ნაციონალური მოძრაობის დაშლას ელოდებიან. რაც შეეხება საპარლამენტო ბოიკოტის შესაძლებლობას, ლევან იოსელიანი ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრები სულ ბოიკოტში არიან, მაგრამ პარლამენტარების პრივილეგიებით სარგებლობენ. ნაციონალური მოძრაობა სულ ბოიკოტშია, რადგან ის საპარლამენტო საქმიანობაში არ მონაწილეობს, თუმცა იღებს ყველა პრივილეგიას, რაც პარლამენტის წევრს ეკუთვნის, მათ შორის მანქანებს, ხელფასებს. ამიტომ, ვფიქრობ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვიტონ, უნდათ პარლამენტში მუშაობა თუ არა. თუ არ უნდათ, უნდა წავიდნენ. ჩემი აზრით, ესეც კარგი გამოსავალია.

რაც შეეხება „ცხელ შემოდგომას“, რეალურად რასთან გვაქვს საქმე – პატარა პოლიტიკური პარტიები, რომლებიც რადიკალიზმით გამოირჩევიან დღეს, სინამდვილეში ელოდებიან ნაციონალური მოძრაობის დაშლას და უნდათ, ამ მომენტისთვის იყვნენ ფორმაში, რომ მათი მომხრეების ნაწილი მიიმხრონ, ამაზეა გათვლილი ყველა გზავნილი და რადიკალიზმი. ამას რეალურ პოლიტიკასთან კავშირი არ აქვს. არანაირი „ცხელი შემოდგომა“ არ იქნება, უბრალოდ, ყველა ხვდება, რომ ნაციონალური მოძრაობა შეიძლება დაიშალოს და ეს გამოწვეული იქნება მიხეილ საკაშვილის პოლიტიკიდან წასვლით. უნდათ, ამ დროისთვის მათი მომხრეების ნაწილი მიიმხრონ იმ რადიკალური დღის წესრიგით, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მომხრეებისთვის მისაღებია. ამისთვის მიდის სინამდვილეში ბრძოლა და არა სხვა რამისთვის, რადგან რამდენიმე პატარა პოლიტიკურ პარტიას არ აქვს იმის რესურსი, რომ ამ ქვეყანაში დიდი ცვლილებები გამოიწვიოს, – განაცხადა ლევან იოსელიანმა.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

რუსეთის მარშრუტით ყაზახური ნავთობის მიწოდება, შესაძლოა, 4-ჯერ შემცირდეს

კასპიის მილსადენის კონსორციუმით ყაზახური ნავთობის მიწოდება მსოფლიო ბაზარზე, შესაძლოა, 15 მილიონ ტონამდე შემცირდეს. ინფორმაციას „კომერსანტი“ ავრცელებს.

როგორც ცნობილია, CPC-ის რუსულმა ოპერატორმა გაავრცელა განცხადება, რომ ყაზახური ნავთობექსპორტის მთავარ მარშრუტზე მიწოდება ისევ შემცირდა, რის მიზეზადაც კონსორციუმმა ნოვოროსიისკში ნავთობის ორი ნავმისადგომის დაზიანება დაასახელა. კონსორციუმი სულ ჩატვირთვის სამ მოწყობილობას იყენებს, რომლიდანაც ორი ერთეულის კორპუსზე მყვინთავებმა აგვისტოში ბზარები აღმოაჩინეს. ამჟამად ჩატვირთვის ოპერაციები მხოლოდ მესამე დისტანციური დასამაგრებელი მოწყობილობით მიმდინარეობს.

„კომერსანტის“ ცნობით, კონტრაქტორის შერჩევისთვის აუცილებელი პროცედურებისა და მოახლოებული შტორმის სეზონის გათვალისწინებით, აღდგენითი სამუშაოები, შესაძლოა, გაზაფხულამდე გადაიდოს. ამ შემთხვევაში, „კომერსანტის“ მონაცემებით, CPC-ით მიწოდება, შესაძლოა, წლიური თვალსაზრისით, მინიმუმ, 50%-ით, 28-30 მლნ ტონამდე შემცირდეს. ასეთ პროგნოზს რუსეთის მთავრობასთან არსებული ფინანსური უნივერსიტეტის ექსპერტი, იგორ იუშკოვიც ადასტურებს. მან „კომერსანტს“ განუცხადა, რომ ნორმალურ რეჟიმში, როგორც წესი, ჩატვირთვის ორი მოწყობილობა მუშაობს, მესამე კი მათ საჭიროების შემთხვევაში უერთდება. აქედან გამომდინარე, 2022 წლისთვის 67 მილიონ ტონამდე ჩატვირთვის მიწოდების გეგმის გათვალისწინებით, ორი დასამაგრებელი მოწყობილობის გამორთვა, მიწოდებას, წლიური თვალსაზრისით, დაახლოებით, 30 მილიონ ტონამდე შეამცირებს. შესაბამისად, თუ რემონტი ექვსთვიანი დაგვიანებით ჩატარდა, მარტისთვის ნავთობის ჩატვირთვა მხოლოდ 15 მილიონ ტონას შეადგენს.

თავად კონსორციუმი რემონტის ვადებს არ აკონკრეტებს და მხოლოდ იმას აცხადებს, რომ დასამაგრებელი ჩასატვირთი მოწყობილობების ჩანაცვლება რეზერვში არსებული ერთეულებით მოხდება. თუმცა ამ ოპერაციის შესასრულებლად ორგანიზაციების წინასწარი საკვალიფიკაციო შერჩევაა საჭირო. „კომერსანტის“ წყარო, რომელიც სიტუაციას იცნობს, აცხადებს, რომ პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რემონტი, დიდი ალბათობით, გაზაფხულამდე გადაიდება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კომპანია კონტრაქტორის შერჩევას მოახერხებს და მასთან ხელშეკრულებას ოქტომბრამდე გააფორმებს, დაიწყება შტორმის სეზონი, რომლის დროსაც სამუშაოს შესრულება შეუძლებელი გახდება.

„კომერსანტი“ წერს, რომ ალტერნატიული მარშრუტი გულისხმობს ყაზახური ნავთობის ტანკერებით მიწოდებას კასპიის ზღვის გავლით აზერბაიჯანში, შემდეგ კი მის ექსპორტს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით. თუმცა, გამოცემის შეფასებით, თავისუფალი სიმძლავრეები ამ მიმართულებით წელიწადში 5 მილიონ ტონას არ აღემატება. ამასთან, იგორ იუშკოვი მიიჩნევს, რომ თუ რემონტი სექტემბერში დასრულდება, მაშინ ყაზახეთისთვის ახალი საექსპორტო მარშრუტების ძიებას აზრი ეკარგება.

თუმცა გამოცემა ხაზგასმით შენიშნავს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ყაზახური მხარე ალტერნატიული მარშრუტს მაინც ავითარებს. ამის მაგალითად „კომერსანტს“ 16 აგვისტოს „ყაზმუნაიგაზის“ გამგეობის თავმჯდომარის, მაგზუმ მირზაგალიევის აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია SOCAR-ის პრეზიდენტ როვშან ნაჯაფთან შეხვედრა მოჰყავს. ბაქოში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა კომპანიებს შორის ტრანსკასპიური ინფრასტრუქტურის განვითარებაში თანამშრომლობის საკითხი განიხილეს, რის შემდეგაც მირზაგალიევი საქართველოშიც ჩავიდა და ბათუმის ნავთობტერმინალის, ასევე, ბათუმის საზღვაო პორტის მუშაობას გაეცნო.

ამ ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე Reuters-ი სანდო წყაროზე დაყრდნობით წერდა, რომ „ყაზმუნაიგაზი“ SOCAR-თან მოლაპარაკებებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით წელიწადში 1.5 მილიონი ტონა ყაზახური ნავთობის გაყიდვაზე აწარმოებს. Reuters-ის ცნობით, საბოლოო კონტრაქტის გაფორმება აგვისტოს ბოლოს იგეგმება, ხოლო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ნავთობის გატარება ერთი თვის შემდეგ დაიწყება. სააგენტოს მონაცემებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის არსებულ ნაკადთან ერთად, მოცულობა დღეში 100.000 ბარელს, ანუ კასპიის მილსადენის კონსორციუმის ნაკადის 8%-ს გადააჭარბებს. ამასთან, წელიწადში კიდევ 3.5 მილიონი ტონა ყაზახური ნავთობის ტრანზიტი, შესაძლოა, 2023 წელს აზერბაიჯანული მილსადენით საქართველოს შავი ზღვის სუფსის პორტამდე დაიწყოს.

რუსული Forbes წერს, რომ მიმდინარე ზაფხულს CPC-ის მუშაობას პრობლემა უკვე მეორედ შეექმნა და ორივეჯერ ყაზახეთის პრეზიდენტ კასიმ-ჟომარტ ტოკაევის რუსეთში ვიზიტის შემდეგ გაჩნდა, რომელმაც ივნისში პუტინს პირისპირ განუცხადა, რომ რუსეთის მიერ აღიარებული დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკები „კვაზისახელმწიფოებრივი ტერიტორიებია“ და ყაზახეთი მათ არასდროს აღიარებდა. გამოცემა იხსენებს, რომ ივლისში ტოკაევმა მთავრობას რუსეთის გვერდის ავლით ნავთობმიწოდების ახალი, მათ შორის საზღვაო გზების მოძიება დაავალა. ამასთან, ტოკაევმა მთავრობას ატირაუ-კენკიაკისა და კენკიაკ-კუმკოლის ნავთობსადენების გამტარუნარიანობის გაზრდისთვის ზომების მიღება დაავალა.

– ყაზახეთის პრეზიდენტმა პრიორიტეტად ტრანსკასპიური მარშრუტი დაასახელა, რომელიც ჩინეთზე, ყაზახეთზე, კასპიის ზღვაზე, აზერბაიჯანზე, საქართველოზე, თურქეთსა და ევროპის ქვეყნებზე რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით გადის, – წერს Forbes.

რუსულ ხორბალზე საექსპორტო ფასები ეცემა

აგვისტო-სექტემბერში 12,5%-იანი პროტეინის შემცველი რუსული ხორბლის საექსპორტო FOB ფასი ტონაზე 20 დოლარით, 330 დოლარამდე შემცირდა, რაც 2022 წლის იანვრის მაჩვენებელია. ამის შესახებ ანალიტიკური ცენტრის „რუსაგროტრანსის“ მონაცემებში წერია, რასაც „აგროინვესტორი“ ავრცელებს.

ასევე, ცენტრის მონაცემებით, სეზონის დასაწყისიდან რუსული ხორბლის ფასი ევროპული ხორბლის ღირებულებაზე დაბლა პირველად დაეცა. მაგალითად, ფრანგული ხორბლის (11,5%-იანი ცილით) საშუალო ფასი ტონაზე 343 დოლარია (წინა კვირასთან შედარებით, მინუს 7 დოლარი), ხოლო ამერიკული შეჭ ხორბალი, გასულ კვირასთან შედარებით, 9 დოლარით გაძვირდა და ტონაზე 342 დოლარი შეადგინა.

აგვისტოში ხორბლის ექსპორტის პროგნოზი (ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ქვეყნების ჩათვლით) იმავე დონეზე, 3,8-3,9 მლნ ტონაზე რჩება, რაც ერთი წლის წინანდელ 5,27 მლნ ტონაზე ნაკლებია. „რუსაგროტრანსის“ მონაცემებით, პროგნოზირებული მოცულობიდან აგვისტოს პირველ ნახევარში დაახლოებით 1,9 მილიონი ტონა ხორბალი გავიდა.

სოფლის მეურნეობის ბაზრის კვლევის ინსტიტუტის, IKAR-ის აღმასრულებელი დირექტორის, დიმიტრი რილკოს განცხადებით, რუსული ხორბლის საექსპორტო ფასების შემდგომი დაცემის შანსი დიდია, რაზეც მარცვლეულისთვის უკრაინიდან გახსნილი დერეფანი ახდენს გავლენას.

ანალიტიკური კომპანია „პროზერნოს“ გენერალური დირექტორი ვლადიმერ პეტრიჩენკო რუსული ხორბლის შიდა და საექსპორტო ფასებს „კატასტროფულს“ უწოდებს.

„ამჟამად ფასები მხოლოდ იკლებს, ხოლო საექსპორტო ბაზარზე კიდევ უფრო აქტიურად ეცემა. ეს არის, უბრალოდ, შოკი“, – აცხადებს პეტრიჩენკო.

რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, წელს კრასნოდარის მხარეში მარცვლეულის ღირებულება თითქმის მესამედით დაეცა და 2017 წლის დონეს მიუახლოვდა.

ბენზინგასამართმა სადგურებმა ფასები უკვე 30-40 თეთრამდე შეამცირეს

– ფასების შემცირება უკვე საკმაო ხანია, რაც დაწყებულია. ტენდენცია ეხება როგორც მცირე და საშუალო ქსელებს, ასევე ბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებსაც, – ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ ნავთობიმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, საწვავზე ფასის კლების ტენდენცია კიდევ გაგრძელდება და პრემიერის განცხადების შემდეგ ეს დიდი ქსელების წარმომადგენლებმა საჯაროდაც დაადასტურეს.

– ფასების შემცირება უკვე საკმაო ხანია, რაც დაწყებულია. ტენდენცია ეხება როგორც მცირე და საშუალო ქსელებს, ასევე ბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებსაც. ზოგადად, ჩვენ თუ შევხედავთ სხვადასხვა კომპანიების მიხედვით, ფასები მნიშვნელოვნად დაკლებულია. მცირე და საშუალო ქსელებში, ყველაზე პოპულარული რეგულარის ტიპის ბენზინი 3-3.05 ლარი ღირს. მნიშვნელოვანია, რომ დიზელის საწვავიც მცირე და საშუალო ქსელებში 4-ლარიან ნიშნულს ჩამოსცდა.

რაც შეხება ბერენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებს, ისინიც აქტიურად ამცირებენ ფასებს აგვისტოს დასაწყისიდან. სხვადასხვა კომპანიის მაგალითზე საშუალოდ 30-40 თეთრამდე უკვე შემცირებული აქვთ ფასები.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ოპტიმისტური მოლოდინები გვაქვს და ვფიქრობთ, რომ ტენდენცია გაგრძელდება. პრემიერის განცხადების შემდეგ, საზოგადოებამ ნახა დიდი ქსელების წარმომადგენლების კომენტარებიც, რომელიც იმავეს ადასტურებენ. გვაქვს მოლოდინი, რომ საწვავზე ფასის შემცირების ტრენდი სექტემბერშიც გაგრძელდება. მიზეზები მარტივია, მყარი ლარი და მსოფლიო ბაზარზე ნავთობზე დაცემული ფასები, – აცხადებს მთვრალაშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“.

შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საწვავის ფასებთან დაკავშირებით მორიგი განცხადება 15 აგვისტოს გააკეთა. როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ივლისსა და აგვისტოში საწვავზე ფასი შემცირდა, რჩება განცდა, რომ ფასის კლება ფაქტორების პროპორციული არ არის. მან საკითხის მოკვლევა კონკურენციის სააგენტოს დაავალა.

ერთ თვეში კომერციული ბანკების წმინდა მოგება 138,3 მლნ ლარით გაიზარდა

კომერციული ბანკების წმინდა მოგება ისევ იზრდება. კერძოდ, 2022 წლის ივლისში, წინა თვესთან შედარებით, 138,3 მლნ ლარით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი 114,5 მლნ ლარით გაიზარდა.

სებ-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2022 წლის ივლისში კომერციული ბანკების წმინდა მოგება იყო 292,462 მლნ ლარი, ივნისში – 154,156 მლნ ლარი, 2021 წლის ივლისში კი ბანკების წმინდა მოგებამ 177,956 მლნ ლარი შეადგინა.

2022 წელს ბანკების მიერ მიღებული წმინდა მოგება თვეების მიხედვით ასე გამოიყურება:

იანვარი – 212,695 მლნ ლარი; თებერვალი – 90,610 მლნ ლარი; მარტი – 110,181 მლნ ლარი; აპრილი – 109,394 მლნ ლარი; მაისი – 159,034 მლნ ლარი; ივნისი – 154,156 მლნ ლარი; ივლისი – 292,462 მლნ ლარი.

ამასთან, ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2022 წლის ივლისში კომერციული ბანკების შემოსავლებმა შეადგინა 685,093 მლნ ლარი, საიდანაც საპროცენტო შემოსავლები იყო 479,225 მლნ ლარი. ივლისში კომერციული ბანკების ხარჯებმა 357,196 მლნ ლარი შეადგინა.

ამავე სტატისტიკით, ბანკების მიერ ჯარიმა/საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა 8,380 მლნ ლარი; საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებულმა წმინდა მოგებამ 97,962 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან, წინა თვეში ბანკებმა საკომისიოებიდან და გაწეული მომსახურებებიდან 53,642 მლნ ლარის შემოსავალი მიიღეს.

თხილის ფასი კიდევ 27%-ით დაეცა

EastFruit-ის ანალიტიკოსების ცნობით, ბოლო კვირაში თხილზე ფასმა 27%-ით იკლო. საგანგაშოა აქ ის ფაქტი, რომ ფასები აქამდეც მინიმალურ ნიშნულზე იყო.

აღსანიშნავია, რომ 1 კილოგრამი ნაჭუჭიანი თხილი 3 ლარი ღირს, რაც 16%-ით ნაკლებია გასული წლის ამავე პერიოდის მონაცემებთან შედარებით. შეგახსენებთ, რომ 2021 წლის მოსავლის ფასები ასევე დაბალი იყო. როგორც ჩანს, ეს პრობლემა აქტუალობას წელსაც არ კარგავს.

ისევე, როგორც შარშან, თხილის მწიფობის პერიოდში უხვი ნალექი იყო, რამაც ხარისხზე ნეგატიური გავლენა იქონია. EastFruit-ის ანალიტიკოსების თქმით, დაბალი ფასები დაბალი ხარისხითაა განპირობებული. ფასს დაბლა ასევე გასული წლის მარაგის არსებობა სწევს.

ივლისში ხახვი 46%-ით გაძვირდა

ივლისში საქართველოში 1.1 მლნ დოლარის 3.1 ათასი ტონა ხახვი იმპორტირდა, რაც ფულად გამოსახულებში იგივეა, რაც წინა წლის იმავე პერიოდში. თუმცა წონით რაოდენობაში 9.4%-იანი კლებაა. შესაბამისად, იმპორტირებული ხახვი 9.4%-ით არის გაძვირებული. თუ შარშან 1 კგ იმპორტირებული ხახვი 32 ცენტი ღირდა, წელს მისი ფასი 35 ცენტია.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, ივლისში ხახვი, წინა წლის ივლისთან შედარებით, 45.7%-ით არის გაძვირებული.

ირანის, ყირგიზეთისა და ისრაელის მოქალაქეებს თბილისისა და ბათუმის აეროპორტებში არადეკლარირებული თანხა აღმოუჩინეს

საბაჟო-გამშვებ პუნქტებში „თბილისის აეროპორტი“ და „ბათუმის აეროპორტი“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, ირანის, ყირგიზეთისა და ისრაელის მოქალაქეების როგორც ფიზიკური, ასევე, კუთვნილი ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად არადეკლარირებული თანხა, ჯამში, 301.430 აშშ დოლარი გამოავლინეს.

არადეკლარირებული თანხის საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით, ჯამში, 835.467,.877 ლარი შეადგინა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევი მოქალაქეები, სანქციის სახით (თანხის 10%-ის ოდენობა) 83.546.78 ლარით დაჯარიმდნენ.

გორი-ტყვიავის გზაზე 22 წლის ახალგაზრდა ავარიაში დაიღუპა

გორი-ტყვიავის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევას 22 წლის ახალგაზრდა ემსხვერპლა. ქარტლი.გე-ს ინფორმაციით, შემთხვევა გუშინ დილით მოხდა. მანქანა ხეს შეეჯახა. დაშავდა კიდევ ერთი პირი, რომელიც სასწრაფომ საავადმყოფოში გადაიყვანა. შსს-ს ცნობით, გამოძიება 276-ე მუხლით მიმდინარეობს.

კაცი, რომელსაც სექსუალურ ძალადობაში ამხელენ, რუსთაველი ბიზნესმენია

სექსუალურ ძალადობაში დადანაშაულებული კაცი რუსთაველი ბიზნესმენია. „ტვ პირველის“ ინფორმაციით, გიორგი ხუროშვილი შპს ბოგანოს 100%-იანი წილის მფლობელია. დაკავებულს კარაქის საწარმო აქვს.

საბოლოოდ, მოსამართლემ 45 წლამდე კაცი ციხეში გაუშვა და გირაოზე უარი უთხრა. ქალზე ძალადობისთვის დაკავებული ბრალს არ აღიარებს. რადგან საქმე პირად ცხოვრებას ეხება, დაზარალებულის ინტერესებიდან გამომდინარე, სხდომა დახურული იყო. პროკურატურის ინფორმაციით, ბიზნესმენი მეგობარ ქალზე ფიზიკურად ძალადობდა და პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროებით ემუქრებოდა. უფრო კონკრეტულად, ირკვევა, რომ საქმეში დევს ვიდეოჩანაწერები, სადაც ქალზე ძალადობაა ასახული. ამასთან, ამოღებულია პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერებიც. ბრალდების მხარე აცხადებს, რომ გიორგი ხუროშვილი მოქალაქეზე ორი თვის განმავლობაში სისტემატურად ძალადობდა.

ტაივანის პრეზიდენტი: „ჩინეთს, თუ ტაივანზე თავდასხმას გადაწყვეტს, მძიმე საფასურის გადახდა მოუწევს“

ტაივანის პრეზიდენტი ცაი ინ-ვენი აცხადებს, რომ ჩინეთს მძიმე საფასურის გადახდა მოუწევს იმ შემთხვევაში, თუ ის კუნძულზე შეჭრას გადაწყვეტს.

ცაი ინ-ვენმა აღნიშნული განცხადება ტაივანის დასაპყრობად ჩინეთის არმიის წარუმატებელი მცდელობის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გააკეთა.

– 60 წლის წინ გამართულმა ბრძოლამ დაიცვა ტაივანი და მსოფლიოს ამცნო, რომ ვერცერთი საფრთხე ვერ შეძლებს, ტაივანელ ხალხს საკუთარი სამშობლოს დაცვაზე ხელი ააღებინოს. რაც შეგვიძლია, ჩვენს მტერს შევატყობინოთ, არის ის, რომ ტაივანი მზადაა საკუთარი თავის დასაცავად. ჩინეთს მძიმე საფასურის გადახდა მოუწევს, თუ ტაივანზე თავდასხმას გადაწყვეტს.

ცნობისთვის, 2 აგვისტოს ჩინეთს შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ნენსი პელოსი ეწვია, რამაც ოფიციალური პეკინის აღშფოთება გამოიწვია. პელოსის ვიზიტის საპასუხოდ ჩინეთმა კუნძულის გარშემო მასშტაბური სამხედრო წვრთნები გამართა.

უკრაინიდან შავი ზღვის პორტების განბლოკვის შემდეგ 33 სატვირთო გემი გავიდა

უკრაინა, გაეროსა და თურქეთის შუამავლობით გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, სულ 33 სატვირთო გემმა დატოვა, რომლებზეც დაახლოებით 719.549 ტონა სასურსათო პროდუქტი იყო განთავსებული, – ინფორმაციას მედიასაშუალებები უკრაინის სოფლის მეურნეობის სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებენ.

უწყების ცნობით, გარდა იმ გემებისა, რომლებმაც უკვე დატოვეს უკრაინა, კიდევ 18 ახლა იტვირთება ან ელოდება ნებართვას უკრაინის პორტებიდან გასასვლელად.

უკრაინის მარცვლეულის ექსპორტი მას შემდეგ შემცირდა, რაც რუსეთი 24 თებერვალს ქვეყანაში შეიჭრა და შავი ზღვის პორტები დაბლოკა, რამაც მსოფლიოში სასურსათო პროდუქტების ფასების ზრდა გამოიწვია. მოსკოვისა და კიევის მიერ 22 ივლისს გაეროსა და თურქეთის შუამავლობით გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე შავი ზღვის სამი პორტი განიბლოკა და პროდუქტების ექსპორტი განახლდა.

სოსო გოგაშვილი: „თითოეული თქვენგანი უმკაცრესად აგებს პასუხს“



სოსო გოგაშვილი ციხიდან მორიგ, ახალ წერილს ავრცელებს. სუს-ის ყოფილი შეფი ოფიცრებს მიმართავს და ამბობს, რომ ხელისუფლების წასვლის შემდეგ თითოეული მათგანი, ვინც ამჟამად მტკიცებულებების ფალსიფიკაციით, კამერების ჩანაწერების წაშლით, შეცვლითა და გაყალბებითაა დაკავებული, უმკაცრესად დაისჯება.

– მივმართავ იმ ადამიანებს, „შემსრულებლებს'“, ვინც ამჟამად დაკავებულია მტკიცებულებების ფალსიფიკაციით, კამერების ჩანაწერების წაშლით, შეცვლით, გაყალბებით – ეს ხელისუფლება მუდმივად ვერ იქნება და თითოეული თქვენგანი უმკაცრესად აგებს პასუხს კანონის წინაშე. თქვენ ხართ ორმაგი დამნაშავეები, ერთი რომ აყალბებთ საქმეს და მეორე, ემსახურებით ოკუპანტებს. შეინარჩუნეთ ღირსება, ოფიცრებო, ემსახურეთ საქართველოს და არა რაშისტულ ოცნებას, რომელიც ქვეყანას ანადგურებს, – წერს გოგაშვილი.

ადვოკატი: „მიხეილ სააკაშვილი ხვალ სასამართლო პროცესს ვერ დაესწრება“



მიხეილ სააკაშვილის ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის ინფორმაციით, სააკაშვილი 24 აგვისტოს საზღვრის უკანონო კვეთის საქმესთან დაკავშირებულ პროცესს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ დაესწრება.

როგორც ხაჭაპურიძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, სააკაშვილის ადვოკატები სასჯელის გადავადებასთან დაკავშირებით შუამდგომლობას მას შემდეგ დააყენებენ, როდესაც ამერიკელი ექსპერტების დასკვნა გამოქვეყნდება.

– მიხეილ სააკაშვილი ვერ მოახერხებს პროცესზე გამოცხადებას ავადმყოფობის გამო. გამომდინარე აქედან, დავაყენებთ შუამდგომლობას პროცესის გადადებაზე.

პროცესზე სასჯელის გადავადებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის დაყენებას არ ვაპირებთ, ველოდებით ექსპერტიზის დასკვნას. ველოდებით, როდის გასცემს ჯანდაცვის სამინისტრო ნებართვას ამერიკელი ექსპერტების ჩამოსვლასთან დაკავშირებით. ამ ყველაფერს ალბათ 1 კვირა დასჭირდება, რის შემდეგაც მივმართავთ სასამართლოს სასჯელის გადავადებაზე, გამომდინარე იქიდან, როგორი იქნება ექსპერტიზის დასკვნა. თუ დაწერენ, რომ სააკაშვილი მძიმე ავადმყოფია, მივმართავთ სასამართლოს. სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არის სტაბილურად მძიმე, დაავადებები ემატება და ემატება, – აღნიშნა შალვა ხაჭაპურიძემ.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება პირველ ოქტომბერს დაიწყო. აღნიშნული საქმის ფარგლებში ბრალდება კიდევ 4 პირს – ელგუჯა ცომაიას, ზურაბ და შალვა წოწორიებსა და გიორგი ნარიმანიძეს აქვთ წაყენებული და ის ცალკე წარმოებად მიმდინარეობს. აღნიშნული პირები ბრალს აღიარებენ.

ყოფილი მოხელე სახელმწიფო ქონებას მოტყუებით დაეუფლა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლებისა და სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა ორი პირის მიმართ დაიწყეს, რომელთაგან ერთი ყოფილი მოხელეა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, 2021 წელს, მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შედეგად, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, მოტყუებით დაირეგისტრირა 15.360 მ2 მოცულობის 2 მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო საბაზრო ღირებულება შეადგენს 828.960 ლარს.

– მიმდინარეობს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების მიზნით.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით, – ნათქვამია ინფორმაციაში.

სასამართლომ ბადრაგი პატიმრობაში დატოვა

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ესკორტის ოფიცერი ვალერი გოზალიშვილი წინასწარ პატიმრობაში რჩება.

ოფიციალური ინფორმაციით, გოზალიშვილს სამსახურებრივ გულგრილობას ედავებიან. საგამოძიებო უწყებების ინფორმაციით, ბადრაგს პატიმარმა ე.წ. კაბურიდან ცეცხლსასროლი იარაღი ამოაცალა და თავის არეში ჭრილობა მიიყენა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიების დადგინდა, რომ 20 აგვისტოს, თბილისში, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მე-3 სართულზე მდებარე დერეფანში, რომლის მიმდებარე პალატებშიც ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრები იყვნენ განთავსებული, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტის ოფიცერი ვ.გ. წინდახედულობის ნორმის დაუცველად გადაადგილდებოდა სამსახურებრივი – საშტატო იარაღით. გარდა აღნიშნულისა, მან იქვე დერეფანში მყოფ პატიმარს არ მიუთითა, შესულიყო მისი განთავსების პალატაში და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების ნებართვით დაეტოვებინა აღნიშნული სივრცე.

ბრალდებულმა ასევე არ განახორციელა ვიზუალური კონტროლი პატიმრის მიმართ, რომელიც მიეპარა მას და საქამრეში არსებული იარაღის შესანახი სპეციალური ბუდიდან (ე.წ. კაბურიდან) ამოაცალა სამსახურებრივი ცეცხლსასროლი იარაღი, საიდანაც სამი გასროლა განახორციელა, მათ შორის ერთ-ერთი გასროლით თავის არეში მიიყენა ჭრილობა და კომატოზურ მდგომარეობაში ჩავარდა.

ვ.გ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მეორე ნაწილით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – ნათქვამია ინფორმაციაში.

„გულწრფელად ვნანობ იმას, რაც მოხდა. როდესაც ვიცვლებოდით, ვერ წარმოვიდგენდი და ვერანაირად შევამჩნიე გურამ სვანიძე“, – ამის შესახებ ესკორტის ოფიცერმა ვალერი გოზალიშვილმა განაცხადა, რომელსაც პატიმარმა ე.წ. კაბურიდან ცეცხლსასროლი იარაღი ამოაცალა და თავის არეში ჭრილობა მიიყენა.

გოზალიშვილის განმარტებით, შემთხვევის ადგილას ბევრი ადამიანი იმყოფებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი „პატიმარს ზურგით არ დაუდგებოდა და თავს საფრთხეში არ ჩაიგდებდა“.

– როდესაც ახალი ცვლა შემოდიოდა, ბევრი ადამიანი იყო, თორემ იარაღით პატიმართან ახლოს არასდროს მივიდოდი, არათუ ზურგით დავუდგებოდი და თავს ან სამსახურს საფრთხეში ჩავაგდებდი, – აღნიშნა ვალერი გოზალიშვილმა.

ბორის ჯონსონი: „უკრაინას მხარს დავუჭერთ იქამდე, ვიდრე რუსეთი საზარელ ომს არ დაასრულებს“

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონის განცხადებით, მისი ქვეყანა არასდროს აღიარებს რუსეთის მიერ ყირიმის ან უკრაინის რომელიმე სხვა ტერიტორიის ანექსიას.

მან აღნიშნული განცხადება „ყირიმის პლატფორმის“ მეორე სამიტზე ვირტუალურად გამოსვლისას გააკეთა.

როგორც ჯონსონმა აღნიშნა, დიდი ბრიტანეთი ოფიციალურ კიევს სამხედრო, ჰუმანიტარულ, ეკონომიკურ და დიპლომატიურ მხარდაჭერას გაუწევს მანამ, სანამ „რუსეთი არ დაასრულებს ამ საზარელ ომს და არ გაიყვანს საკუთარ ძალებს მთელი უკრაინიდან“.

„პუტინი გეგმავს, მთელ უკრაინას გაუკეთოს ის, რაც ყირიმს გაუკეთა. ის ამზადებს მეტ ანექსიასა და უფრო მეტ ყალბ რეფერენდუმს“, – განაცხადა ჯონსონმა.

ჯონსონმა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი დაადანაშაულა იმ ფაქტის იგნორირებაში, რომ რუსეთმა არაერთგზის აღიარა ყირიმი უკრაინის ნაწილად.

ბრიტანეთის პრემიერმა კრემლის ლიდერი მრავალი საერთაშორისო შეთანხმების დარღვევაშიც დაადანაშაულა.

ემანუელ მაკრონი: „უკრაინამ დიპლომატიის გზა აირჩია, რუსეთმა კი — ომის“

– 8 წელი გავიდა რუსეთის მიერ უკრაინის ნაწილის, უფრო კონკრეტულად კი ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ სევასტოპოლის უკანონო ანექსიიდან, – ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა „ყირიმის პლატფორმის“ მეორე სამიტზე განაცხადა.

საფრანგეთის პირველმა პირმა აღნიშნა, რომ რუსეთმა დაარღვია საერთაშორისო ვალდებულებები და საერთაშორისო სამართლის ყველაზე ძირითადი სტანდარტები.

„უკრაინამ აირჩია დიპლომატიის გზა, რუსეთმა კი – ომის“, – დასძინა მაკრონმა.

მაკრონმა რუსეთს მოუწოდა, შეწყვიტოს სამხედრო მოქმედებები და გაიყვანოს საკუთარი ძალები უკრაინიდან.

– ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება, მხოლოდ უკრაინელ ხალხს არ ეხება. რა თქმა უნდა, თავდაპირველად ეს არის უკრაინელი ხალხის ბრძოლა საკუთარი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის, თუმცა ეს ყველა ჩვენგანს ეხება, რადგან ჩვენ ვგრძნობთ ამ ომის შედეგებს, – აღნიშნა მაკრონმა.

ზელენსკი: „ვიცი, ყირიმი ელოდება უკრაინას — ოკუპაცია ყირიმში დაიწყო და ყირიმში დასრულდება“

– ვიცი, ყირიმი ელოდება უკრაინას, გველოდება ჩვენ, რომ დავიბრუნებთ და მინდა, ყველამ იცოდეთ, რომ მას დავიბრუნებთ, – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ „ყირიმის პლატფორმის“ მეორე სამიტზე განაცხადა.

მისი თქმით, ოკუპაცია ყირიმში დაიწყო და ყირიმში დასრულდება.

– ტერორის დასაძლევად აუცილებელია რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვება, აუცილებელია ყირიმის გათავისუფლება. ეს იქნება მსოფლიო კანონისა და წესრიგის აღორძინება. ამიტომ ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ ყირიმი ოკუპაციისგან. ყირიმში დაიწყო და ყირიმში დასრულდება, – აღნიშნა ზელენსკიმ.

მისი თქმით, მხოლოდ უკრაინას შეუძლია, მოაშოროს ის მავთულხლართები, რომლებიც ადამიანებს ყირიმის საუკეთესო ადგილებზე მისვლის გზებს უბლოკავს.

– ყირიმი ჩვენთვის მხოლოდ ტერიტორია ან გეოპოლიტიკური თამაშების ფიგურა არ არის. ის ჩვენი ხალხის, საზოგადოების ნაწილია და დეოკუპაციის შემდეგ ის ჩვენს მთელ სახელმწიფოსთან ერთად გახდება ევროკავშირის ნაწილი. დარწმუნებული ვარ, უკრაინელი მოქალაქეების პასპორტი იქნება ევროკავშირის პასპორტი და ეს არის დიდი შესაძლებლობა ყირიმში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებისთვის.

ყირიმის გზები იქნება მთელი ევროპის კონტინენტის გზები, ყირიმის პორტები იქნება ევროპის პორტები. მხოლოდ უკრაინას შეუძლია, მოაშოროს იმ მავთულხლართები, რომლებიც ადამიანებს ყირიმის საუკეთესო ადგილებზე მისვლის გზებს უბლოკავს. მხოლოდ უკრაინას და არა სხვას, რომელიც მოვიდა დასაპყრობად, მოსაპარად და ხალხის დასამცირებლად. ჩვენ გვაქვს ძალიან სრულყოფილად ჩამოყალიბებული შეხედულება, თუ როგორ უნდა აღვადგინოთ თქვენი უკრაინული ყირიმი რუსი დამპყრობლების გაძევების შემდეგ.

ჩვენ „ყირიმის პლატფორმას“ ვუმატებთ ეკონომიკურ და საკანონმდებლო მიმართულებებს. ჩვენ გვაქვს ყირიმის აღდგენის სტრატეგია და დღეს მას ეკონომიკური პანელის ფარგლებში წარმოვადგენთ, – აღნიშნა ზელენსკიმ.

მისი თქმით, უკრაინის ხელისუფლება აყალიბებს საკანონმდებლო საფუძველს ყირიმისთვის მისი დეოკუპაციის შემდეგ.

იტალიის პრემიერი: „იტალია უკრაინის მხარდაჭერას გააგრძელებს“

– 2014 წლის მარტში რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაცია აგრესიის მიუღებელი აქტი და საერთაშორისო სამართლის მკაფიო დარღვევა იყო, – ამის შესახებ იტალიის პრემიერ-მინისტრმა მარიო დრაგიმ „ყირიმის პლატფორმის“ მეორე სამიტზე განაცხადა.

მანვე ყირიმის საერთაშორისო პლატფორმის ინიციატივისა და უკრაინისადმი იტალიის ურყევი მხარდაჭერა გამოხატა.

– იტალია მუდმივად გმობდა რუსეთის მიერ ყირიმის უკანონო ანექსიასა და მოსკოვის მიერ ნახევარკუნძულის თანდათანობით მილიტარიზაციას. ჩვენ ღრმად შეშფოთებული ვართ ნახევარკუნძულზე ადამიანის უფლებების გაუარესებული მდგომარეობის გამო და ვდგავართ ყირიმელი თათრების თემის გვერდით ძალადობისა და უსამართლობის წინააღმდეგ, რომლისგანაც ის იტანჯება, – აღნიშნა დრაგიმ.

იტალიის პრემიერის თქმით, ყირიმისთვის ბრძოლა არის უკრაინის გათავისუფლების ბრძოლის ნაწილი.

როგორც მარიო დრაგიმ დასძინა, რუსეთმა უნდა შეწყვიტოს უკანონო ოკუპაცია, ისევე, როგორც მშვიდობიანი მოქალაქეების მიზანში სასტიკი ამოღება. „იტალია გააგრძელებს უკრაინის მხარდაჭერას“, – დასძინა დრაგიმ.

აშშ კიევში მყოფ საკუთარ მოქალაქეებს უკრაინის დედაქალაქის დაუყოვნებლივ დატოვებისკენ მოუწოდებს

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი კიევში მყოფ საკუთარ მოქალაქეებს უკრაინის დედაქალაქის დაუყოვნებლივ დატოვებისკენ მოუწოდებს.

მათივე ცნობით, მომდევნო დღეების განმავლობაში კიევის ინფრასტრუქტურასა და სამთავრობო შენობებზე რუსული ავიაიერიშების საფრთხე ძალიან მაღალია.

ცნობისთვის, ცოტა ხნის წინ Reuters-მა აშშ-ის ხელისუფლების ოფიციალურ პირზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთი უკრაინის სამოქალაქო ინფრასტრუქტურასა და სამთავრობო ობიექტებზე უახლოეს მომავალში ახალ თავდასხმებს გეგმავს.

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველო უკრაინელებს მოუწოდებს, 24 აგვისტოს, დამოუკიდებლობის დღეს, რუსეთის მხრიდან სარაკეტო თავდასხმებისა და პროვოკაციების გაზრდილი საფრთხის გამო განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ.

მაიმუნმა ზოოპარკში პოლიცია გამოიძახა

კაპუცინის ჯიშის მაიმუნმა, რომელიც ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ელ-პასო-დე-რობლეს ზოოპარკის ბინადარია, პოლიცია გამოიძახა.

სამართალდამცავ ორგანოებში ზარი შევიდა, რომელიც მალევე შეწყდა. ოპერატორები შეეცადნენ ტელეფონის ფლობელისთვის გადაერეკათ, მაგრამ არავინ უპასუხა. იმისთვის, რომ ზარის მიზეზი დაედგინათ, ზარის ადგილზე პოლიციელები გაეგზავნენ.

გაირკვა, რომ ზარი ზოოპარკის ტერიტორიიდან იყო გაშვებული. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავებმა ისეთი ვერავინ აღმოაჩინეს, ვისაც შესაძლოა ზარი გაეშვა. საბოლოოდ გაირკვა, რომ აურზაურის გამომწვევი ზოოპარკის ბინადარი მაიმუნი, სახელად რუტი იყო. მას ხელში ჩაუვარდა გოლფ-კარში დარჩენილი ტელეფონი. ამ გოლფ-კარით ზოოპარკის თანამშრომლები მის ტერიტორიაზე გადაადგილდებოდნენ.

– ჩვენ გვითხრეს, რომ კაპუცინები მეტად ცნობისმოყვარენი არიან, იღებენ ყველაფერს, რაზეც კი ხელი მიუწვდებათ და ღილაკებს თითებს აჭერენ, – განაცხადეს პოლიციაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბარსელონა სტუმრად წაუგებელია, ფინანსურად — მოუგებელი

ესპანეთის ჩემპიონატის მე-2 ტურში ბარსელონამ სტუმრად სან სებასტიანის რეალ სოსიედადი 4:1 დაამარცხა. დუბლი რობერტ ლევანდოვსკიმ შეასრულა, თითო კი უსმან დემბელემ და ანსუ ფატიმ გაიტანეს.

ჩავის ხელმძღვანელობით ლა ლიგის გასვლით მატჩებში კატალონიური კლუბი უკვე 15 მატჩია, არ მარცხდება – ბარსას აქტივში 10 მოგება და 5 ფრეა და გოლის გატანა ყველა მათგანში მოახერხა.

ჩავის გვარდიოლას რეკორდის (რომელიც პრიმერა დივიზიონი ისტორიაში საუკეთესოა) დამხობამდე 5 გასვლითი დაპირისპირების მოგება აშორებს.

საპირისპიროდ, სახლში ჩატარებულ მატჩებში ბარსელონა ასეთი შთამბეჭდავი არ იყო და, იმედი ვიქონიოთ, რომ ესეც მალე გამოსწორდება.

ბარსელონისთვის კიდევ ერთი თავსატეხია ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება და ამის გაკეთებას ანტუან გრიზმანით აპირებდა, მაგრამ...

არადა, ფრანგი თავდამსხმელის საკითხი თითქოს გადაწყვეტილი იყო – ატლეტიკოს 2023 წელს 40 მილიონ ევროდ უნდა გამოესყიდა. ასე ბარსა გრიზმანის ხელფასის თანხასაც დაზოგავდა და 40 მილიონსაც მიიღებდა. თუმცა ბოლო დროს ამ გეგმას საფრთხე შეექმნა.

გრიზმანი ატლეტიკოში 2021 წელს 2-წლიანი იჯარით გადავიდა. პირობა ასეთი იყო: თუ ფეხბურთელი ამ 2 წლის განმავლობაში მატჩების 50%-ში ითამაშებდა, 2023 წელს ატლეტიკოს მისი 40 მილიონ ევროდ გამოსყიდვის ვალდებულება დაეკისრებოდა. სტატისტიკაში კი ითვლება მხოლოდ ის თამაშები, რომელთა დროსაც ანტუანი მოედანზე მინიმუმ 30 წუთს გაატარებს. გეგმა თითქმის გარანტირებულად შესრულებადი იყო, მაგრამ...

გავრცელებული ცნობით, ატლეტიკოს გრიზმანში 40 მილიონი ევროს გადახდა არ სურს, ან კიდევ უფრო უარესი – არ შეუძლია. ამის გამო კი ბარსელონას, შესაძლოა, პრობლემები შეექმნას.

პირინეული მედია მოვლენების განვითარების რამდენიმე სცენარს გვთავაზობს:

ბარსელონა გამოსასყიდი თანხის შემცირებაზე თანხმდება და გრიზმანს ატლეტიკოში 20 მილიონად გაყიდის, საიდანაც 18 მილიონი ფიქსირებული თანხა იქნება, 2 მილიონი კი – ბონუსები;

ატლეტიკო ფეხბურთელს სკამზე სვამს ან, მაქსიმუმ, 30 წუთს ათამაშებს, გრიზმანი მატჩების 50%-ში მონაწილეობას ვერ იღებს და 2023 წელს ბარსელონაში ბრუნდება. ასეთ შემთხვევაში ბარსა 40 მილიონსაც კარგავს და სახელფასო ხარჯიც დაახლოებით 20 მილიონით ეზრდება. ატლეტიკო ფეხბურთელს ვერ იყენებს, გრიზმანი კი, შესაძლოა, მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დარჩეს. ამ ვარიანტის ამოქმედების შემთხვევაში ყველა ზარალდება;

ატლეტიკო 40 მილიონის გადახდას დასთანხმდება, მაგრამ ბარსელონა მადრიდელებს ამ თანხას რამდენიმე წელზე გადაუნაწილებს. ასეთ შემთხვევაში ბარსამ 2023 წელს, შესაძლოა, მხოლოდ 10 მილიონი ევრო მიიღოს;

ბარსელონა გრიზმანს კონტრაქტს უხანგრძლივებს, ხელფასს უმცირებს და ატლეტიკოში ისევ იჯარით უშვებს. ფეხბურთელი სათამაშო დროს მიიღებს და „ბარსას“ 2023 წელს მისი გაყიდვა შეეძლება;

ამჟამინდელი სიტუაცია ასეთია – გრიზმანს ატლეტიკოში დარჩენა უნდა, დიეგო სიმეონეს სურს, ფრანგი გამოიყენოს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა აქცენტს ფინანსურ მხარეზე აკეთებს.

შედეგები

22 აგვისტო

ფეხბურთი

ინგლისი. ჰემპიეჩიგა

მანჩესტერი-ლივერპული 2:1

სატუნიორ ცხრილი:

1.არსენალი	3	3	0	0	9-2	9
2.სიტი	3	2	1	0	9-3	7
3.ლიდსი	3	2	1	0	7-3	7
4.ტოტენჰემი	3	2	1	0	7-3	7
5.ბრაიტონი	3	2	1	0	4-1	7
6.ნიუკასლი	3	1	2	0	5-3	5
7.ფულემი	3	1	2	0	5-4	5
8.ბრენტფორდი	3	1	1	1	8-5	4
9.კრ.პალასი	3	1	1	1	4-4	4
10.ნოტინგემი	3	1	1	1	2-3	4
11.საუთჰემპტონი	3	1	1	1	5-7	4
12.ჩელსი	3	1	1	1	3-5	4
13.ასტონ ვილა	3	1	0	2	3-6	3
14.მანჩესტერი	3	1	0	2	3-7	3
15.ბორნმუთი	3	1	0	2	2-7	3
16.ლივერპული	3	0	2	1	4-5	2
17.ევერტონი	3	0	1	2	2-4	1
18ვულვზი	3	0	1	2	1-3	1
19.ლესტერი	3	0	1	2	5-8	1
20.ვესტ ჰემი	3	0	0	3	0-5	0

ესპანეთი.

ჰიმეჩა დივიზიონი

ელჩე-ალმერია 1:1

ხირონა-ხეტაფე 3:1

სატუნიორ ცხრილი:

1.ვილარეალი	2	2	0	0	5-0	6
2.რეალი	2	2	0	0	6-2	6
3.ბეტისი	2	2	0	0	5-1	6
4.ოსასუნა	2	2	0	0	4-1	6
5.ბარსელონა	2	1	1	0	4-1	4
6.რაიო	2	1	1	0	2-0	4
7.ბილბაო	2	1	1	0	1-0	4
8.ვალენსია	2	1	0	1	1-1	3
9.ატლეტიკო	2	1	0	1	3-2	3
10.სოსიედადი	2	1	0	1	2-4	3
11.ხირონა	2	1	0	1	3-2	3
12.სევილია	2	0	1	1	2-3	1
13.ალმერია	2	0	1	1	2-3	1
14.ესპანიოლი	2	0	1	1	2-4	1
15.სელტა	2	0	1	1	3-6	1
16.ვალიადოლიდი	2	0	1	1	1-4	1
17.ელჩე	2	0	1	1	1-4	1
18.მალიორკა	2	0	1	1	1-2	1
19.კადისი	2	0	0	2	0-3	0
20.ხეტაფე	2	0	0	2	1-6	0

ესპანეთი.

სეგუნდა დივიზიონი

პონფერადინა-იბიცა 2:1

მალაგა-ლას პალმასი 0:4

იტალია. სერია ა

რომა-კრემონეზე 1:0

სამპდორია-იუვენტუსი 0:0

სატუნიორ ცხრილი:

1.ნაპოლი	2	2	0	0	9-2	6
2.ინტერი	2	2	0	0	5-1	6
3.რომა	2	2	0	0	2-0	6
4.მილანი	2	1	1	0	5-3	4
5.ატალანტა	2	1	1	0	3-1	4
6.ტორინო	2	1	1	0	2-1	4
7.ლაციო	2	1	1	0	2-1	4
8.იუვენტუსი	2	1	1	0	3-0	4
9.ფიორენტინა	2	1	1	0	3-2	4
10.სპეცია	2	1	0	1	1-3	3
11.სასუოლო	2	1	0	1	1-3	3
12.ბოლონია	2	0	1	1	2-3	1
13.სალერნიტანა	2	0	1	1	0-1	1
14.უდინეზე	2	0	1	1	2-4	1
15.ვერონა	2	0	1	1	3-6	1
16.ემპოლი	2	0	1	1	0-1	1
17.სამპდორია	2	0	1	1	0-2	1
18.კრემონეზე	2	0	0	2	2-4	0
19.ლეჩე	2	0	0	2	1-3	0
20.მონცა	2	0	0	2	1-6	0

საფრანგეთი. ლიგა 2

გრენობლი-ბორდო 0:0

ჰოლანდია. ჰიმეიხა ლიგა

ჟილ ვისენტე-ფამილიკაო 0:0

თურქეთი. სუპერლიგა

სივასი-ალანია 1:1

ფენერბახჩე-ადანა 4:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბოჰემიანსი 1905-ჰრადეც კრალოვე 1:2

დანია. სუპერლიგა

ოდენსე-ჰორსენსი 1:0

შვედეთი. ალსვენსკა

კალმარი-გიოტებორგი 1:0

სირიუსი-ჰაკენი 0:1

ჰამარბი-დეგერფორსი 5:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სანდრო მამუკელაშვილი: „ევრობასკეტს საქართველო მოიგებს“

დღეს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ეტაპს იწყებს. 2 მატჩის მომგები ილიას ზუროსის გუნდი აქამდე მოუგებელ ნიდერლანდებს ახალ დარბაზში დაუხვდება.

ამ 2 გუნდის გარდა, ჯგუფში ესპანეთის, იტალიის, ისლანდიისა (3-3 მოგება) და უკრაინის (1 მოგება) ნაკრებებია. დღესვე ესპანეთი-ისლანდიას შეხვდება, ხოლო უკრაინა – იტალიას.

საქართველოს ნაკრებმა ამ მატჩამდე 7 ამხანაგური თამაში გამართა და ყველაში დამარცხდა. ახლა გუნდთან ერთად გოგა ბითაძეც არის, რომელიც, წესით, დღეს უკვე მოედანზე უნდა გავიდეს. თუმცა, ასე გვეგონა უკრაინასთანაც, მაგრამ გოგამ ტრავმის გამო ვერ ითამაშა.

მანამდე გუნდი ათენშიც იმყოფებოდა, სადაც აკროპოლისის თასზე მონაწილეობდა. იქ მედიის ყურადღების ცენტრში მილუოკი ბაკსის ფორვარდი სანდრო მამუკელაშვილი მოექცა, რომელთან ინტერვიუც ელადურ მედიაში გამოქვეყნდა.

– თანაგუნდელ იანის ადეტოკუმბოს გარდა, რა იცით ბერძნული კალათბურთის შესახებ?

– ნიკოს გალისზე გამიგია, მაგრამ არ ვიცოდი, თუ ასეთი დიდი კალათბურთელი იყო. იანისი მასზე ხშირად ლაპარაკობს. გალისზე მეტი უნდა მცოდნოდა. ის ხომ ბერძნული კალათბურთის ისტორიაში საუკეთესო იყო და თანაც ჩემსავით სეტონ ჰოლის კოლეჯში თამაშობდა. იანისს ვუთხარი, რომ ერთხელ წავიდეთ სეტონ ჰოლის თამაშზე, იქ გალისი ყველას ძალიან უყვარს.

– კოლეჯისა და ამერიკის არჩევაზე ბევრი ვერსია გქონდათ?

– იტალიაში თამაშისას ბევრი შემოთავაზება მქონდა, 2 მათგანი ევროლიგის კლუბებიდან, მაგრამ ჩემს ოჯახში განათლებას ძალიან აფასებენ და ამიტომ ჩემი კოლეჯში წასვლა გადაწყდა. ბიელა ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო. იმ პერიოდის გახსენება ახლაც მიყვარს.

– ნბა-ში დებიუტზე რას იტყვით?

– ეს ფანტასტიკური იყო – დრაფტის მე-2 წრის ბოლოს არჩეულს, იმედი არ მქონდა, რომ შანსი ასე მალე მომეცემოდა. ვფიქრობ, რომ ბაკსში მენდობიან და ყოველთვის ასე იყო. ისინი ყოველთვის მაძლევენ შანსს. წინ კიდევ დიდი გზაა, მაგრამ მე ვსწავლობ და ვვითარდები.

– საზაფხულო ლიგაში მაგარი თამაშები გქონდათ. ეს მილუოკიში შანსებს ზრდის?

– იმედი მაქვს, რომ ასეც იქნება. ბაკსი საჩემპიონო გუნდია. ის ყოველ სეზონში ფანტასტიკურია. ჩემი მხრიდან ბევრს ვიშრომებ, რომ სხვებს არ ჩამოვრჩე. მწვრთნელის ყოველ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ.

– ათენში იმყოფება მილუოკის თავკაცი მაიკ ბუდენჰოლცერიც. ესაუბრეთ?

– მწვრთნელმა მითხრა, რომ ზაფხულის ლიგაზე ჩემი ყველა თამაში ნახა. ასევე მითხრა, რომ ბრწყინვალედ ვითამაშე და ნბა-ს ძალიან კარგი კალათბურთელი ვარ, რომ ეს უნდა დავიჯერო. მას ერთი სული აქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი. მისი სურვილია, თვითრწმენა არასდროს დავკარგო.

– ახალ სეზონზე რა იმედებს ამყარებთ?

– იმედი მაქვს, რომ ბევრად უკეთ ვითამაშებ და კარგი სეზონი მექნება. ეს ჩემი მიზანია. ყველაფერს ვაკეთებ, რომ უკეთესი კალათბურთელი გავხდე, ბაკსში ჩემი სჯერათ. ასე რომ, იმედი მაქვს, ერთ-ერთი იმათგანი ვიქნები, ვისაც ბევრად უკეთესი სეზონი ექნება.

– უფრო მილუოკი ბაკსის გეგმებზე.

– ერთ-ერთი საუკეთესო საკალათბურთო ორგანიზაციაა მსოფლიოში. როცა გაიგეს, რომ ნაკრებში მივდიოდი, გენერალურმა მენეჯერმა ჯოშ ჰორსტმა ჩემთან ლაპარაკის შემდეგ გადაწყვიტა, რომ ნაკრებში მწვრთნელი ჯეკ ჰერუში წამომყვებოდა. ჯეკი საოცრად მეხმარება. ჩვენ დღეში 2-ჯერ ვვარჯიშობდით.

– ევრობასკეტზე ძალიან ბევრი კალათბურთელი იქნება NBA-დან.

– იანისი ითამაშებს და ეს უკვე დიდებულია. თურქეთს ჰყავს კორკმაზი, ოსმანი და შენგიუნი. ჩვენ ყველა კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, გვითამაშია ერთმანეთის წინააღმდეგ.

– და საქართველოს ნაკრები.

– მიხარია, რომ ჩემს ქვეყანას წარვადგენ. 15-16 წლის შემდეგ ევროპაში ბევრი არ მითამაშია. ასე რომ, ევროპულ და ამერიკულ კალათბურთს შორის დიდ სხვაობას ვხედავ. უნდა გადავეწყო, სულ სხვა სტილია, ტაქტიკა. ახლა ვეძებ გზას, ვიპოვო საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია ნაკრებისთვის და დავეხმარო გუნდს. საქართველოს ნაკრები ევრობასკეტს მოიგებს. არა, მართლა ვფიქრობ, რომ დიდებული გუნდი გვყავს, შესანიშნავი კალათბურთელები. თუ ერთ „ტალღაზე“ ვიქნებით, ნაკრებში ყველაფერი კარგად იქნება.

სერია ა-ში კიდევ ერთი ქართველის დებიუტი შედგა

24 წლის ლუკა ლოჩოშვილი მეოთხე ქართველი ფეხბურთელია სერია ა-ს ისტორიაში და 26-ე, რომელსაც ევროპის ტოპ 5 ლიგებში უთამაშია. ლუკა გახდა მე-3 ქართველი, რომელმაც ამ სეზონში ტოპ 5 ლიგებში უკვე ითამაშა.

ლოჩოშვილის დებიუტი თვით „სტადიო ოლიმპიკოზე“ შედგა რომასა და ჟოზე მოურინიუს წინააღმდეგ და პირველი თამაშის კვალობაზე შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა მისი გუნდი 0:1 დამარცხდა.

ლუკა, ტრადიციულად, ხისტად ეთამაშებოდა პაულო დიბალას, ნიკოლო ძანიოლოსა და ტამი აბრაჰამს. გამორჩეული ეპიზოდი ტაიმის მიწურულს მოხდა. ლუკა ლოჩოშვილმა შეტევაში ჩართულ ნიკოლო ძანიოლოს ვარდნაში ბურთი სუფთად კი აართვა, მაგრამ რომასა და იტალიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი უხერხულად დაეცა, დაშავდა და შესაცვლელი გახდა.

თამაშის შემდეგ 23 წლის იტალიელს გამოკვლევა ჩაუტარეს და მხრის ამოვარდნა დაუდგინეს. მურინიუსთვის კარგი ამბავი ის არის, რომ ნიკოლოს მოტეხილობა არ აქვს და არც ოპერაცია სჭირდება, მაგრამ დაახლოებით 3 კვირა რომას ვერ დაეხმარება.

სხვათა შორის, ლოჩოშვილი-ძანიოლოს ეპიზოდი ყოფილმა არბიტრმა ტიციანო პიერიმ განიხილა. მისი თქმით, იმ ეპიზოდში ლუკას ბრალი არ მიუძღვის.

– ქართველმა ფეხბურთელმა ძალიან სუფთად იმოქმედა და ეს კარგად დაინახეს არბიტრებმაც. აბსოლუტურად არანაირი ფოლი. ძანიოლო მძიმედ კი დაეცა, მაგრამ ლოჩოშვილის მოქმედება ძალიან სუფთა იყო.

კრემონეზემ 66-ე წუთამდე გაძღლო, როდესაც კრის სმოლინგმა თავურით გახსნა ანგარიში. შეიძლება ითქვას, ამ მომენტში ლოჩოშვილს თითქოს პოზიცია ჰქონდა დაკარგული. გაშვებული გოლიდან 2 წუთში ლუკას გატანა თავადაც შეეძლო. მისი შორეული დარტყმული რუი პატრისიომ კუთხურზე მოიგერია.

ლუკა 85-ე წუთზე ვეტერანმა დანიელ ჩიოფანიმ გამოცვალა. ლუკამ ერთხელ ზუსტად დაარტყა კარში, პასების სიზუსტე 84% ჰქონდა, 6 ორთაბრძოლა მიწაზე მოიგო და 1 ჰაერში, ერთი კუთხური მოიპოვა. მის წინააღმდეგ ერთხელ დაჯარიმდნენ, თავად კი 2-ჯერ დააჯარიმეს. მან ერთი დარტყმული დაბლოკა და 2-ჯერ ჩაჭრა მეტოქის პასი. ბურთს 54-ჯერ შეეხო და მის ანგარიშზე 1 წარმატებული ჩაწოდებაა საჯარიმოში. მოკლედ, ყოველმხრივ კარგი დებიუტი ჰქონდა.

ქართველის დებიუტი წარმატებულად შეაფასა კრემონეზეს მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალვინიმ:

– ლოჩოშვილი კარგი ფეხბურთელია, ისეთი, როგორსაც ბაზარზე ვეძებდით და მისი დამატება გვინდოდა. „ოლიმპიკოზე“ დიბალას წინააღმდეგ ძალიან კარგად ითამაშა. ვარჯიშებზე დღითიდღე მომატება სჭირდება, მაგრამ მისით კმაყოფილი ვარ, ისევე, როგორც ყველა ფეხბურთელით, რომლებიც გუნდში მყავს.

კვარაცხელია ტურის სიმბოლურში და საუკეთესო გოლებში მოხვდა

ბოლო დროს ბევრის წერა გვიწევს ნაპოლის ახალწვეულ ხვიჩა კვარაცხელიაზე. თუმცა ეს ჩვენი ბრალი სულაც არ არის – ქართველი ფეხბურთელი იტალიასა და ევროპას „აგიჟებს“ და უცხოური პრესის ფურცლებიდან არ ჩამოდის. აპენინური მედიის გარდა, ხვიჩას სახელმა გარდიანისა და ფორბსის ფურცლებზეც გაიჟღერა.

21 წლის ქართველი შემტევი კი ზედიზედ მეორედ ტურის სიმბოლურ ნაკრებში სახელდება, მაგრამ ამჟამად მვპ გახდა. ჩვენებურმა კვირის რჩეულ გუნდში დასახელებული ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტი ქულა აიღო – 14.

– სერია ა-ს მეორე ტური უკვე წარსულია, რომელმაც ბევრი ემოცია გვაჩუქა და რამდენიმე სიურპრიზი და საგულისხმო ფაქტი შემოგვთავაზა. ქულათა მაქსიმალური რაოდენობით ლიდერები ნაპოლი, ინტერი და რომა არიან, ხოლო ბომბარდირთა დავას სათავეში 2 მატჩში 3 გოლით კვარაცხელია უდგას. ნეაპოლის ახალმა მარგალიტმა ზედიზედ მეორედ დაიკავა ტურის ტოპ 11-ში ადგილი.

მე-2 ტურში მონცას კარში გატანილი 2-ვე გოლი ტურის საუკეთესო ხუთეულში მოხვდა, მაგრამ ამჯერად ხვიჩას გოლებმა მე-2 და მე-5 ადგილები დაიკავა.

მოკლედ, კვარაცხელია იტალიაში მთავარი სალაპარაკო თემაა. როგორც იქაური მედია წერს, ხვიჩა ნაპოლის საწვრთნელ ბაზასთან ახლოს იცხოვრებს, რომ მთელი კონცენტრაცია ვარჯიშსა და თამაშზე მოახდინოს.

– ხვიჩა ქალაქში არ იცხოვრებს. სახლი სპორტული ბაზიდან ორ ნაბიჯში მოძებნა, როგორც ეს თავის დროზე მარეკ ჰამშიკმა გააკეთა, რათა ვარჯიშებზე ადრე მივიდეს.

მიუხედავად იმისა, რომ 21 წლისაა, ქართველმა დიდი სიმწიფე გამოავლინა და გუნდსა და ვარჯიშებზე ფოკუსირებას აპირებს. ამისთვის მან დაბინავება კასტელ ვოლტურნოში არჩია. ეს არის მშვიდი ადგილი სპორტულ ბაზასთან ახლოს.

შეგახსენებთ, რომ ხვიჩა კვარაცხელიამ ვერონასთან გოლითა და საგოლე პასით გამოიჩინა თავი, ხოლო მონცასთან დუბლი შეასრულა, რის შედეგადაც ორი ტურის შემდეგ 3 გოლით სერია ა-ს ბომბარდირებში პირველ ადგილზეა.

ნაპოლი მომდევნო მატჩს 28 აგვისტოს ფლორენციაში ფიორენტინასთან გამართავს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. კომპანია „ტესლას“ მფლობელი; 2. ვეგეტატიური, უსქესო გამრავლების გზით წარმოქმნილი შთამომავლობა; 3. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 4. სქელი მურაბა; 5. მდინარე პარიზში; 6. მაღალხარისხოვანი მინერალი, მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალა; 9. ორთქლის ან აირის სითხედ გადაქცევა; 10. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 11. ქონების პერიოდული აღწერა; 14. უნგრული ღვინო; 16. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 18. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 20. თაბახის, წიგნის ზომა; 23. ჩახურებული ფქვილი; 24. სოხუმის ძველი სახელწოდება; 25. სიყვარულის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 26. ხოხბის, გნოლის, კაკბის ბარტყი.

თარაზულად: 7. კუჭქვეშა ჯირკვალი; 8. მგრძნობიარე ნერვის დაბოლოება; 12. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 13. შურისძიების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 15. სურნელოვანი პარფიუმერიული ფხვნილი; 17. განმარტებითი ხასიათის შენიშვნა; 19. ბრინჯაოს ქართული სახელწოდება; 21. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 22. ბოსტნეული მცენარე; 27. უმაღლესი მწვერვალი სამხრეთ ამერიკაში; 28. რაიმე დანიშნულების საგანთა სრული შემადგენლობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰესე; 2. უნაბი; 3. სპოკი; 5. არღანი; 6. ლუციფერი; 9. კომპრომისი; 10. კოლექტორი; 11. ანდერსენი; 14. გოა; 16. ასკანა; 18. საგა.

თარაზულად: 1. ჰუმუსი; 4. ანასეული; 7. ფანხიო; 8. კუშდარი; 12. ომალო; 13. აგენტი; 15. მერიმე; 17. ძმა; 19. სტენოკარდია; 20. ჯინსი; 21. სამაია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პეტრა; 2. ასაჰი; 3. ჰონვედი; 4. ლალი; 5. ჯაკო; 6. სკიპტრა; 9. ცხენისწყალი; 10. ფრიკადელი; 11. პორტოფინო; 14. ხომლი; 16. შპიგი; 18. ფეიქარი; 20. ბარძიმი; 23. ევრო; 24. ღვინო; 25. უნაბი; 26. ჭოტი.

თარაზულად: 7. კონსტანტა; 8. ნახალოვკა; 12. ტევრი; 13. ბოლტი; 15. ტანგო; 17. მაჟესტიკი; 19. ჯაყვა; 21. ფიალა; 22. ქნარი; 27. პროპორცია; 28. პანტომიმა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8000

ევრო — 2.7793

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2931

100 რუსული რუბლი — 4.6521

ამინდის პროგნოზი 24 აგვისტოსათვის

იურგენ კლოპი: „წაგებას არ ვიმსახურებდით“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მისი გუნდი მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ წაგებას არ იმსახურებდა, თუმცა ისინი უნდა შეეგუონ არსებულ რეალობას: „ვფიქრობ, რომ წაგებას არ ვიმსახურებდით, თუმცა ეს ფეხბურთია და ის ყოველთვის სამართლიანი არ არის, ამიტომ ჩვენ მხოლოდ მომავალ მატჩებზე უნდა ვიფიქროთ. ყველაფერი ჩვენს ხელშია“.

ანსუ ფატი: „ტრავმის მერე თავს უკეთესად ვგრძნობ“

ბარსელონის ფორვარდმა ანსუ ფატიმ რეალ სოსიედადთან გოლის გატანა შეძლო და მატჩის შემდეგ კომენტარიც გააკეთა, სადაც თქვა, რომ ტრავმის შემდეგ თავს გაცილებით უკეთ გრძნობს და მზად არის ახალი გამოწვევებისთვის: „ვინდა, რომ ბარსელონის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიბრუნო და ამისთვის ვარჯიშებზე ყოველდღე ბოლომდე ვიხარჯები“.

ობამეიანგი თითქმის ჩელსის ფეხბურთელია

ბარსელონის გაბონელი ფეხბურთელი პიერ ემერიკ ობამეიანგი თითქმის ჩელსის ფეხბურთელია და უახლოეს მომავალში გუნდთან 2-წლიან კონტრაქტს გააფორმებს, ხოლო მისი სატრანსფერო ფასი 25 მილიონი იქნება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ობამეიანგი რამდენიმე დღეში პრესკონფერენციას გამართავს და ბარსელონას ოფიციალურად დაემშვიდობება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

დედა თავის ქალიშვილს ეკითხება:

– შვილო, რატომ არ გინდა, რომ ნიკას გაჰყვე ცოლად?

– დედა, ის ხომ წითურია!

მამა ამის გაგონებაზე ეუბნება:

– მაგაზე არ ინერვიულო, ერთი წელი შენ გვერდით და ჭაღარა იქნება!

●●●

სახლში დაბრუნებული გიგის მამამ მისი ორიანებით სავსე დღიური ნახა და ეუბნება:

– ჩვენ დროს ასეთი ნიშნებისთვის ქამრით სცემდნენ.

– შესანიშნავია! ხვალ გაკვეთილზე მოდი და მასწავლებელს სამაგიერო გადავუხადოთ!

●●●

ბავშვი ფანჯარაში იყურება და დედას ეუბნება:

– დედიკო, მამიკო მოდის და პირველი რომელი ვაჩვენოთ, ჩემი დღიური თუ შენი ახალი კაბა?

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– დღეს მანქანის ტარებაზე ვიყავი...

– მერე, რა ქენი?

– მანქანაში საჭესთან რომ დავჯექი, ინსტრუქტორი მეუბნება: „დამაცადე, ჯერ ოჯახობას დავურეკავ და დავემშვიდობები“.

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– შენობითზე ხომ არ გადავიდეთ?

– და ძალიან ხომ არ ჩქარობთ? მაგას სჯობია, ბიუსტჰალტერი მომაწოდოთ.

– და სად არის?

– იატაკზე, თქვენი ტრუსიკის ქვეშ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნანი ბრეგვაძე ახალ პროექტზე მუშაობს

86 წლის მომღერალი ნანი ბრეგვაძე ახალ პროექტზე მუშაობს.

ინფორმაცია მომღერალმა მებო ნუცუბიძემ გავრცელა:

– ქალბატონ ნანის ვასმენინებთ სიმღერას ახალი პროექტისთვის. წინ ძალიან საინტერესო ამბები გელით. მეტ დეტალს, სამწუხაროდ, ჯერ ვერ გაგიმხელთ.

პეტრე ოცხელსა და კოტე მარჯანიშვილს „ოტელოს“ მიუძღვნიან

ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში პეტრე ოცხელისა და კოტე მარჯანიშვილის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით უილიამ შექსპირის „ოტელო“ დაიდგმება.





ინფორმაცია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა გაავრცელა:

– 1, 2 ოქტომბერს პრემიერაა. უილიამ შექსპირის „ოტელო“. თოჯინური და ცოცხალი პლანის სინთეზი.

სპექტაკლი ეძღვნება კოტე მარჯანიშვილის 150-ე და პეტრე ოცხელის 115-ე წლისთავს.

იდეის ავტორი – დიმიტრი ხვთისიაშვილი, დამდგმელი რეჟისორები და მუსიკალური გამფორმებლები – გიორგი მარღანია, დიმიტრი ხვთისიაშვილი, მხატვარი – პეტრე ოცხელი, თოჯინების ავტორი – ვახტანგ ქორიძე, ქორეოგრაფი – გიორგი მარღანია.

„ოსკარზე“ საქართველოს კანდიდატი ფილმის შერჩევა იწყება

ამერიკის კინოაკადემიის 2023 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის ეროვნული კინოცენტრი იწყებს საქართველოს კანდიდატი ფილმის შერჩევას.

საპროდიუსერო კომპანიების განაცხადებს ეროვნული კინოცენტრი 22 აგვისტოდან 9 სექტემბრის ჩათვლით მიიღებს.

წარმოდგენილი ფილმებიდან საქართველოს კანდიდატ ფილმს გამოავლენს სპეციალური კომისია ფარული კენჭისყრის საფუძველზე. კანდიდატი ფილმის სახელი ცნობილი გახდება სექტემბერში.

განაცხადის დასარეგისტრირებლად ფილმი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: 1 იანვრიდან 30 ნოემბრამდე 7 დღის განმავლობაში უწყვეტად უნდა იყოს ნაჩვენები საქართველოს რომელიმე კინოთეატრში; უნდა ჰქონდეს კინოინდუსტრიაში მიღებული ფორმის რეკლამა – აფიშა, თრეილერი; შემოქმედებით ჯგუფს მეტწილად უნდა შეადგენდნენ საქართველოს მოქალაქეები ან რეზიდენტები; შესარჩევ კონკურსში წარმოდგენილი ფილმის ვერსია უნდა შეესაბამებოდეს კინოთეატრში კომერციულად ნაჩვენებ ვარიანტს; ფილმის გაშუქების მასალები ელექტრონულ და ბეჭდურ მედიაში – სტატია, რეცენზია, ბლოგი – ასეთის არსებობის შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ჯერ არ აკმაყოფილებს კინოთეატრში 7-დღიანი უწყვეტი კომერციული ჩვენების მოთხოვნას, აუცილებელია განმცხადებელმა დაადასტუროს, რომ 30 ნოემბრამდე ფილმი 7 დღის განმავლობაში უწყვეტად იქნება ნაჩვენები კომერციულ ეკრანზე – კინოთეატრში.

ფარულად ქალისთვის კაბის ქვეშ სურათის გადაღება პაბის თანამფლობელს ბიზნესის დაკარგვად დაუჯდა

ამერიკის მენის შტატის ქალაქ სკოუჰეგანში პაბის თანამფლობელმა ბიზნესში საკუთარი წილი იმის გამო დაკარგა, რომ ქალისთვის კაბის ქვეშ სურათის გადაღებას შეეცადა.

თვითმხილველის მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, რომ პაბის თანამფლობელი ერიკ დორი ახლოს ჩაუვლის უცნობ ქალს, რომელიც ავტომობილის კაპოტზე დაყრდნობილი საბუთების შევსებითაა დაკავებული. ამ დროს კი მამაკაცი თავისი მობილური ტელეფონის კამერას მისი კაბის ქვეშ მიმართავს ისე, რომ ქალი ამას ვერ ამჩნევს.

მას შემდეგ, რაც ვიდეო სოციალურ ქსელებში იქნა გამოქვეყნებული, პაბის და დორის გვერდები წაიშალა. შემდეგ პაბის გვერდი აღადგინეს, ხოლო მასზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, დორის ძმა ბენჯამინმა, რომელიც პაბის ასევე თანამფლობელია, განაცხადა, რომ ძმისთვის წილის ჩამორთმევას აპირებს. მის მოვალეობებს მისი მეუღლე ერიკა შეასრულებს.

გარდა ამისა, დორის 364 დღემდე პატიმრობა და 2 ათას დოლარამდე ჯარიმა ემუქრება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქართული ჩანგი მსოფლიო მუსიკალური ინსტრუმენტების მუზეუმს გადაეცა

ქორეოგრაფმა დავით ფოცხიშვილმა ქართული ჩანგი „კორეის“ მსოფლიო მუსიკალური ინსტრუმენტების მუზეუმს გადასცა:

– ეს ისტორიული მოვლენაა. დრო გავა და ჩვენს მომავალ თაობებს რაღაც ცოტათი მაინც დაეხმარება.

საუკუნოვანი ქართული ჩანგი „კორეის“ მსოფლიო მუსიკალური ინსტრუმენტების მუზეუმს გადავეცი.

ფაქტობრივად ყველა ქვეყნის მუსიკალური ინსტრუმენტია დაცული მათ მუზეუმში და გული გამისკდა, როდესაც ქართული ვერაფერი ვერ ვნახე. ახლა კი ცოტათი გულზე მომეშვა და დავწყნარდი. კიდევ მივაწვდი მათ რამდენიმე ქართულ ხალხურ საკრავს.

სომხებს უკვე დაურეგისტრირებიათ დოლი და დუდუკი, როგორც სომხური ნაციონალური ინსტრუმენტები და განთავსებულია ამ მუზეუმში.

ვთვლი, რომ ისტორიული საქმე გაკეთდა. როდესაც ჩახვალთ კორეაში, შეგიძლიათ ესტუმროთ „კორეის“ მსოფლიო მუსიკალური ინსტრუმენტების მუზეუმს და იხილოთ ქართული ჩანგი. მუზეუმის ოფიციალურ გვერდზე დაფიქსირებულია ჩემი სახელი და გვარი, რაც ჩემი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. არაერთი მნიშვნელოვანი საქმე გაუკეთებია ჩვენი ქვეყნისთვის ჩემს ოჯახს და ასე გაგრძელდება.

ეს ერთგვარი კულტურული ხიდია კორეასა და საქართველოს შორის. მსოფლიოს რომელ ქვეყანაშიც ჩავა ქართველი, ყველგან უნდა იამაყოს თავისი კულტურით. კულტურა ჩვენი პატარა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

24 აგვისტოსათვის

ვერძი – ახალი ნაცნობობა იღბლიანია. საქმიანი კონტაქტებისთვისაც შესაფერისი დღეა. გეგმებს იდეალურად განახორციელებთ. **კურო** – თუ რაღაც ისე არ გამოგივათ, როგორც გსურდათ, ნუ დაღონდებით. ბოლო კეთილია. **ტყუპები** – უსიამოვნო განწყობა გაქვთ, რაც გარშემომყოფების აგრესიას იწვევს. ემოციებს ნუ გამოავლენთ. **კირჩხიბი** – რეალური ცხოვრება თქვენს შინაგან სამყაროზე თანდათან სულ უფრო მეტად აისახება. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს. **ლომი** – ინტუიცია გიმახვილდებათ. გულის კარნახით იმოქმედეთ. სხვის აზრს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. **ქალწული** – მთლიანობაში, კეთილისმყოფელი დღეა. ეცადეთ, ფიზიკურად არ გადაიტვირთოთ. **სასწორი** – რისკი გაუმართლებელია. კრიტიკული დღეა. კომერციული ოპერაციები სხვა დროისათვის გადადეთ. **ღრიანკალი** – თვითგამოხატვისთვის შანსი გეძლევათ. განსაკუთრებით გაუმართლებთ ხელოვანებს. **მშვილდოსანი** – წარმატების მიღწევაში თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა დიდ როლს ითამაშებს. ერიდეთ კონფლიქტს საყვარელ ადამიანთან. **თხის რქა** – გელით საინტერესო ახალი ნაცნობობა. საქმიანი შეხვედრები ნაყოფიერი იქნება. **მერწყული** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. იზრუნეთ სულიერ განვითარებაზე. ჯანმრთელობას ყურადღება მიაქციეთ. **თევზები** – მსხვილი შენაძენისათვის იღბლიანი დღეა. ნავაჭრით ნამდვილად კმაყოფილი დარჩებით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 2. ვაზის, ღვინის პატივსაცემი რიტუალი ძველად საქართველოში; 3. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტების კორპუსის ნაწილი; 5. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ზოგიერთ ქალაქში; 6. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 9. ავადმყოფური შიში, გამოწვეული საკუთარ ჯანმრთელობაში დაეჭვებით; 10. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 11. ქართული გაზეთი; 14. საკვები პროდუქტების ზედაპირზე გაჩენილი სოკოვანი ქსელი; 16. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 18. მეტყველების ნაწილი გრამატიკაში.

თარაზულად: 1. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 4., მოლიერის კომედია; 7. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 8. ქართული ხალხური ცეკვა; 12. ავტოდრომი იტალიაში; 13. მადნის, ქვანახშირის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 15. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 17. სახოტბო ლექსი; 19. პოლიციის ქვედანაყოფი საფრანგეთში; 20. ცნობილი ესპანელი არქიტექტორი, მხატვარი; 21. სწორკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა